№ 198

1877—1905

№ 198

შაბათი, 5 ნოემბერი

შაბათი, 5 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან, თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

იაფ ფასიანი ქართული წარმოდგენა ავლაბრის თეატრში

კვირას, 6 ნოემბერს, 1905 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:

## ორი ობოლი

დრამა 5 მოქმ. თხზ. დრიესი, თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია ცაგარლისა, დ. ივანიძე, მ. მდივანი, ა. ნემიერიძე, ს. თერგელი. ბ-ნნი: შ. დადიანი, სვიმონიძე, ზ. საფაროვი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, [illegible], მუმლაძე, ციციშვილი, სტეფანოვი.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე

ადგილების ფასი 10 კ-დან 1 მ 20 კ-დე.

რეჟისორი ვალ. გუნია.

სასიკვდილოდ გულჩათქმულნი მშობლები დეკანოზი ლაზარე ტურიაშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე დიმიტრის ასული და შვილნი მათნი ალექსანდრა ჩიქოვანისა, კონსტანტინე, თამარა, ნიკოლოოზი, მიხეილი, ივანე და ნადეჟდა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ უდროოდ გარდაცვალებას, 2 ამ ნოემბერს, უსაყვარლესისა და დაუვიწყარის შვილისას და ძმისას,

სტუდენტის ალექსანდრე ტურიაშვილისას

სასხვენ მობძანდნენ კვირას, 6 ამა ნოემბერს, ავლაბარში, წმინდა მარინეს ეკლესიის ეზოში, დილის $9^1/_2$ საათზე, მის გამოსასვენებლად წმ მარიანეს ეკლესიაში. დაკრძალულ იქმნება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე, დილით 11-სა და საღამოობის 6 საათზე.

ნინო გრიგოლის ასული უგრელიძისა, ეფემია გრიგოლის ასული, მიხეილი და დიმიტრი გრიგოლის ძენი გიორგიევები და ბარბარე აბელის ასული ბაირამოვისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ დაკარგვას: პირველნი - ძმისწულისას და მეორე—ძმისას

კონსტანტინე აბელის ძის ბაირამაშვილისას

ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტისას, რომელიც მოკლულ იქმნა ოდესაში 20 ოქტომბერს, და სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, 6 ნოემბერს, დილის 10 საათზე კალოუბნის ეკლესიაში, სადაც იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი. (1—1)

კვირას, 6 ნოემბერს,

დილის 10 საათზე, ნაძალადევში

დანიშნულია

## სახალხო მიტინგი

შესახებ დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობისა.

თფილისის ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია.

9 სექტემბერს, ღამე, დაკეტილის ოთახიდან ქუთაისში, სასტუმრო „გრანდოტელში"

## მომპარეს ჩემოდანი

ბევრ ჩემთვის ძლიერ საჭირო საბუთებსა და ნივთებს გარდა, წილეს ამხანაგობა „გეორგია"-ს საამხანაგო ხელშეკრულობის დედანი, ნიუ-იორკის დამზღვევ საზოგადოების პოლისი, ორი საწევრო ბანკის ბილეთი, ვექსილები, ჩემი თხზულებანი „,განწირულნი", „მშვენიერების წინაშე" და სხვ., ბავშვის მეტრიკული მოწმობა. ამით ვაცხადებ, ვინც იპოვნის ამ ზემოხსენებულ საბუთებს და გამომიგზავნის, მიიღებს სასყიდელს ას მანათს თუ ყველა საბუთებს და ვექსილებს მომიტანს; ან ფოსტით გამომიგზავნის, გადავუხდი ორას მანათს და ვაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ მომტანის ანუ გამომგზავნის სახელს არ გავამხელ. ვიმედოვნებ, მპოვნელი აღასრულებს ამ ჩემს თხოვნას, მით უმეტეს, რომ მპოვნელისთვის არც ერთი საბუთი არაფრად მოსახმარისი არ არის და მე კი დიდად დამავალებს. ადრესი: ბათუმი, კანტორა „გეორგია", იასე მეხუზლა—რაჭველი. (5—3)

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

შაბათს, 5 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება

პირველი წარმოდგენა ტფილისისათვის ახალი ოპერისა

სპექტაკლი გალა

## ზაზა

ლირიკული კომედია 4 მოქ. სიტყვები და მუსიკა ლეონკა-ვალლოსი, თარგმანი გორჩაკოვისა (სიუჟეტი გადმოღებულია ბერტონისა და სიმონის კომედიიდან)

მოქმ. პირველი კაფე-შანტანის კულისებში, მოქმედ. მე-2—ზაზას სახლში, მოქ. მე-3—დიუფრენთან, მოქ. მე-4—ზაზასთან.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი დუბროვსკაია, ნიკიტსკაია, მიშეცკაია, ფერრარი, კარპოვისა, პრესმანი, ბ ნნი კოლოტოვი, სოკოლსკი, კარელინი, ჩისტიაკოვი, დემიანენკო, შეინი, დავიდოვი, ტომაშევიჩი, სურდისი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დირიჟორი ა. პ. შტეინბერგი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

ადგილების ფასი „გალა".

დოქტორი მედიცინისა

## ვ. ი. ინაშვილი

მიიღებს შიგნეულის, ქალების, და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, ნაშუადღევის პირველ საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ნიკოლოოზის ქუჩა, № 31, სახლი მადათოვისა. (20—14)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

## მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. უორონცოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კროვატი.

პირველი კერძო საავადმყოფო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ქ. მ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, ზიაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ზ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ზაზანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. მძლიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. გ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

მ. ა. ნავასარდიანი. $7—7^1/_2$ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. $7—7^1/_2$ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) ხუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესობრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

## პოლონეთის შესახებ.

იმპერიის განაპირა ქვეყნები სათავეში უდგანან განმათავისუფლებელ მოძრაობას. მონობის ორკეც უღელ ქვეშ მოხრილნი, ესენი მებრძოლთა პირველ რაზმებში დგანან და გასკეცებულ რევოლუციონურ ენერგიით იწვევენ თავისუფლებისაკენ. ამ ქვეყნებმა პირველათ დაანთეს რევოლუციონური ცეცხლი, და, აი ერთმა მათგანმა კიდეც პირველმა მოიპოვა თავისუფლება.

ერთი ამხანაგის გამარჯვება სხვებს იმედით აღაფრთოვანებს, გამარჯვების სურვილით ათრობს და მთელის ენერგიით, მთელის არსებით, მთელის ენტუზიაზმით იწვევს ადამიანობისა, კეთილდღეობა-სამართლიანობის მოსაპოვებლად.

და რაღა საკვირველია, თუ გაცოფებული რეაქცია მთელის თვისი ძალით ამ ქვეყნებისკენ იწევს საარაკო ბარბაროსობის ჩასადენად?

მრავალ-ტანჯულ პოლონეთში ომიანობის წესებია გამოცხადებული. ჯარები ჯარებზე იგზავნება ამ ქვეყნის ხელახლად დასაპყრობად.

მერე რა მოხდა, რა ჩაიდინა პოლონეთმა? რისთვის იბრძვიან პოლონელები?

გაზეთი „Возрожденіе" (№ 17) გვარწმუნებს, რომ პოლონელები „ესწრაფიან განახორციელონ რუსეთის საერთო განმათავისუფლებელი მიზანიო". ეს არ კმარა, და გაზეთიც განმარტავს: „არც ერთი დასახელებული პარტიათაგანი (პოლონეთისა) არ ელტვის სეპარატისტულ მიზანს... პირიქით, ყველანი ებრძვიან ძველ სეპარატისტულ ჯგუფების ნაშთებს არისტოკრატიიდან და ინტელიგენციიდან". ეს სტრიქონები იძლევა სრულიად ყალბ წარმოდგენას პოლონეთის პარტიებზე. ჩვენ კარგად ვიცით, რომ პოლონეთში— სხვა რომ არ დავასახელოთ—არსებობს ერთი მეტად ძლიერი პოლიტიკური პარტია, ეგრედ წოდებული „პ. პ. ს." (პოლონეთის სოციალისტური პარტია), რომლის მიზანი—აღძრულ საგანზე—არის სწორედ სეპარატიზმი—პოლონეთის განცალკევება რუსეთის სახელმწიფოსაგან. ამავე მიზანს ესხრობა, სხვათა შორის, პოლონელთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „პროლეტარიატი", იმ პირობით კი, რომ განცალკევების სურვილი აღიაროს ხალხის რეფერენდუმმა.

მაგრამ მართალი არის ისიც, რომ, უკეთუ დღეს პოლონეთს მიენიჭება ავტონომია, ეს დააკმაყოფილებს ყველა პარტიებს და პოლონეთი ჩადგება მშვიდობიან განვითარების კალაპოტში. რა არის ავტონომია? „Возрожденіе" სწერს: „დეე, იცოდეს ბიუროკრატიამ, რომ ავტონომია—ეს საოლქო, ადგილობრივი თვითმართველობაა და არაფერი საერთო არა აქვს სეპარატიზმთან". დიახ, ავტონომიას არაფერი აქვს საერთო სეპარატიზმთან, მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო არც ადგილობრივ თვითმართველობასთან. გაოცებული ვართ, რომ ეს არ ესმის ისეთ რადიკალურ გაზეთს, როგორიც არის „Возрожденіе"! შეიძლება გაზეთს ეს კითხვა განზრახ არ ესმოდეს იმ მოსაზრებით, რომ რჩეობდეს ჩვენი ნეტარხსენებულ მამების დამღუპველ პოლიტიკას: შეამცირეთ, შეამოკლეთ თქვენი მოთხოვნილებანი და მაშინ ეღირსებით მიზნის განხორციელებასო. ჩვენის აზრით კი, ერთი ნაბიჯი რომ წინ გადავდგათ ხოლმე და ორი—უკან, ამით ვერ განვახორციელებთ წინსვლელობას. ასეა თუ ისე, ჩვენ სხვა დროსაც შევნიშნეთ, რომ ადგილობრივი ზოგიერთი გაზეთი დომხალივით ურევს ორ ისეთ სხვადასხვა შემეცნებას, როგორიც არის განაპირა ქვეყნების ავტონომია და ადგილობრივი თვითმართველობა. ამ ორ შემეცნებათა შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ შეიძლება მხარეში არსებობდეს ავტონომია და იმავე დროს ცენტრალისტურ ბიუროკრატიისაგან სრულიად გაქარწყლებული იყოს ადგილობრივი თვითმართველობა. იმპერიის რომელიმე კუთხე რომ თვითვე იყოს თავისი კანონმდებელი (ავტონომია), ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ თვითონ კანონმდებლობა ამ ქვეყნისა უსათუოდ დემოკრატიული იქმნება (ადგილობრივი თვითმართველობა).

ბიუროკრატიას „Возрожденіе"-ს სიტყვებით კი არ უნდა მივმართოთ,—არა, იმას ისევე უნდა მივმართოთ, როგორც მიმართავს თვითონ პოლონეთი: ვიდრე პოლონელები პოლონელებად არ იქნებიან იმპერიის კანონებით აღიარებულნი, ჩვენ ვერ დავმშვიდდებით! რევოლუციონური მოძრაობა არ დაცხრება, არა და არა! პოლონელები უნდა იყვნენ პოლონელებად, მათ უნდა მიენიჭოთ პოლიტიკური თვით-არსებობა, ავტონომია (ეს არ არის სეპარატიზმი)

ამასთანავე, ისიც უნდა ვუთხრათ ბიუროკრატიას და რეაქციას, რომ დღეს ყოვლად შეუძლებელია ისეთივე სიადვილით ამცნონ ევროპას: „ვარშავაში წესიერება მეფობსო", როგორც ეს იყო წარსულში, როცა „გაავებული კაზაკები დაჰხევდნენ ჩაკლულ, ჩაფუფქვილ ვარშავას, შეურაცხჰყოფდნენ იმის უმანკო, წმინდა სამოსელს და ვერაგობით აუპატიურებდნენ სამარისკენ გადაშვებულ წამებულ ქალწულს" (ვიქტორ ჰიუგო).

როგორ, ნუ თუ შავბნელი რეაქცია კიდევ გაჰბედავს ეს ჯოჯოხეთი განიმეოროს? ნუ თუ პოლონეთი, ეს ევროპა რუსეთის იმპერიაში, ძალით ჩაჭედილი, კიდევ გადიქცევა სისხლის ღვარებად, ძვლების აკლდამებად და დანარჩენი ქვეყანა კი კიდევ განაგრძობს არხეინად საქმიანობას? მაშინ მთელი ქვეყანა იქნებოდა მხოლოდ მონებით დასახლებული; ადამიანი, ადამიანობა გადაიქცეოდა სამწუხარო მოგონებად, ადამიანნი პირუტყვებზე კიდევ უფრო საზიზღრები იქნებოდნენ.

მაგრამ არა! ადამიანები ქვეყანაზე კიდევ არიან; კიდევ არიან ხალხისათვის თავდადებული მებრძოლთა რაზმები! მთელი მოწინავე, დემოკრატიული რუსეთი, მთელი განათლებული კაცობრიობა პოლონეთთან არის. ბრძოლა გამარჯვებით უნდა გათავდეს. პოლონელები პოლონელებად უნდა იქნან აღიარებულნი, მათ უნდა მიენიჭოს ავტონომია,—ეს არ არის სეპარატიზმი: არც ადგილობრივი თვითმართველობა, ეს არის სამართლიანი პოლიტიკური თვითარსებობა.

ვლ. დარჩიაშვილი.

## დღევანდელი რუსეთი

ცხოვრების ლოღიკამ ბუნებრივი ძალის ულმობელობით თავისი გაიტანა. რუსეთის თვითპყრობელობა დაინგრა. შეირყა აბსოლუტურ-ბიუროკრატიული წესი. დამონებული ხალხი მოქალაქობრივ ასპარეზზე გამოვიდა. ფრთა-შეკვეცილმა, მუდამ დახშულმა, სასტიკად დევნილმა ხალხმა გზა გაიკაფა და მოიპოვა მოქალაქობრივ არსებობისთვის სამოქმედო პირობები. დიდი ხნის გამოდმებულ ბრძოლას მოჰყვა თვალსაჩინო გამარჯვება. ძველი წყობილება ისე შეირყა, ისეთი ბოძები გამოეცალა მას, რომ ვერავითარი ძალა მის აღდგენას ვერ მოახერხებს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრძოლა დასრულებულიყოს. პირიქით, საქმე ახლა უფრო გართულდა, ვიდრე წინად იყო. თუ წინად თითქმის მთელი რუსეთი ებრძოდა ძველ წყობილებას, თუ წინად ამ წყობილებას ერთი ნაწილი სავსებით ებრძოდა, მეორე სანახევროთ ეწინააღმდეგებოდა და ამნაირად დიდი უმრავლესობა მოწინააღმდეგე ელემენტს წარმოადგენდა, რომელსაც მიზნად დაესახა ძველი წყობილების ახლით შეცვლა, და ამიტომ ამ საერთო იერიშში მებრძოლთა ურთიერთი წინააღმდეგობა ნაკლებად ჩნდა. დღეს გარემოება იცვლება, უწინდელ, უმეტესად, უარყოფითს მოქმედებას დღეს მოჰყვა შემოქმედებითი მუშაობა, აღმშენებლობის საჭიროება და აი, აქ თანდათან მკაფიოდ ირკვევა ის სხვადასხვაობა მისწრაფებაში, რომელიც ასულდგმულებს ხალხის სხვადასხვა ელემენტებს.

ცხოვრება მეტად რთული მოვლენაა და მისი მკაფიოდ განსაზღვრულ ელემენტებად დანაწილება ისე, რომ ამ ელემენტებს შორის არ უდგეს საშუალო ელემენტები, მეტად ძნელია. ყოველ შემთხვევაში ჩვენ დღეს ვხედავთ, რომ უმთავრესად სამი მთავარი ელემენტი გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე და ცდილობს ახალ წყობილებას თავისებური ხასიათი მისცეს. მსხვილი მესაკუთრენი—მიწათ-მფლობელები და მრეწველები, მუშები და გლეხები. აი ამ სამ ელემენტის ურთიერთი დამოკიდებულება, ურთიერთი ბრძოლა მისცემს ხასიათსა და ელფერს იმ წყობილებას, რომელიც დღეს რუსეთში მყარდება. როგორია მათი პოლიტიკური მიდრეკილება და შემოქმედებითი ძალა?

წარმოუდგენელია რაიმე გვარი სახელმწიფო წყობილების არსებობა, თუ ეს წყობილება არაა დამყარებული საზოგადოების რომელსამე ელემენტზე. აუცილებლივ მთავრობა თავის მოქმედებაში იცავს უმთავრესად ერთ რომელიმე ელემენტის ინტერესებს და ამით ამ ელემენტის გულს იგებს. რუსეთის აბსოლუტიზმი არც ერთ ელემენტს არ შეეფერებოდა და არც ერთის ინტერესს არ იცავდა იმდენად, რამდენადაც მიწათ-მფლობელისას. მემამულეთა ბატონ-ყმურ მიდრეკილების გამახორციელებელი იყო მთელი ის ბიუროკრატიული ორგანიზაცია, რომელიც დღეს საუკუნო განსვენებას ემზადება. და თუ, მიუხედავად ამისა, საზოგადოდ მემამულენი მაინც უკან მიდიან და მათი ეკონომიური მნიშვნელობა მცირდება, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ არავითარ ძალას არ შეუძლიან ბუნებრივ პროცესის შეჩერება. სუბსიდიები, ვალის პატიება, ყოველ-გვარი დახმარება აქ უძლურია. ძველი მემამულე ვერ შეირჩენს თავის წინანდელ პოზიციას და ყოველი მისი ცდა ამაოა ისტორიის ჩარხის უკუღმა დაბრუნებაში. ამიტომაც ამ რეაქციონურ ელემენტს არ ძალუძს რაიმე თვალსაჩინო როლი ითამაშოს რუსეთის დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამას ცხადათ გვიმტკიცებს ამ ელემენტის ლიტერატურული უძლურება. ორიოდე რეაქციონური გაზეთი, სადაც ბუდობდა აბსოლუტიზმის და ბატონ-ყმურ იდეების დამცველთა ბრბო, დღეს სულ გამოიფიტა, მიკნავდა, ყოველი გამბედაობა დაჰკარგა.

შევეხოთ მრეწველებს, საზოგადოდ ბურჟუაზიას. დღევანდელ მოქალაქობრივ განწყობილების შექმნაში ბურჟუაზიას დიდი წილი უდევს. როცა ევროპაში ხალხი შეებრძოლა ძველ ფეოდალურ საზოგადოებრივ განწყობილებას, მაშინ ამ მებრძოლთა მებაირახტრე ბურჟუაზია იყო. მოქალაქობრივ უფლებათა მოპოების საჭიროება მან გაახვია მაღალ იდეალებში და შემოიკრიბა ირგვლივ ყველა ჩაგრულნი საერთო საბრძოლველად. მართლაც მაშინ ბურჟუაზია წარმოადგენდა რევოლუციონურ ელემენტს არა მარტო ეკონომიურ მოქმედებით, არამედ იდეურადაც. მაგრამ აი, ბურჟუაზიამ საწადელს მიაღწია, დაიმსხვრა ძველი ფეოდალური წყობილება, შეიმუსრა ფეოდალთა უპირატესობანი, მოქალაქობრივი უფლებანი მოპოვებულ იქმნა. ბურჟუაზია მთავრობას სათავეში მოექცა. და, აი, როცა დაიწყო ბურჟუაზიის შემოქმედებითი მუშაობა სახელმწიფოს მოწყობის საქმეში, მაშინ გამოირკვა, რომ იდეალური სიტყვები „,თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა", ბურჟუაზიისათვის მხოლოდ საბრძოლველი ნიღაბი იყო. მას არ შეეძლო ამ მაღალ მისწრაფებათა განხორციელება, რადგან ეს სულ მისი ინტერესების წინააღმდეგი იყო. აქედან უკვე იწყება ბურჟუაზიულ იდეოლოგიის განადგურება. დღემდის ხალხის სახელით მომქმედი ბურჟუაზია დღეს უკვე ჰკარგავს ამ საერთო წარმომადგენლობის ხასიათს. წინსვლელობის მაგიერ ის ცდილობს თავისი პოზიცია დაიცვას. და აი, მთელი ასი წლის განმავლობაში ის მუშაობს, რომ სახელმწიფო მექანიზმი მოაწყოს თავის პოზიციის შესარჩენად. არ ერიდება არავითარ ზომებს. თვითარსებობის დასაცველად გამართულ ბრძოლაში ბურჟუაზიამ თანდათან დაკარგა თავისი იდეური მისწრაფებანი, მისი იდეოლოგია გაღატაკდა და ვეღარ ასულდგმულებს თავის წევრებს. სამაგიეროდ მას შერჩა ისტორიული ტრადიცია. ის მაგრად სდგას თავის პოზიციაზე და მისი დამარცხება ხანგრძლივ ბრძოლას მოითხოვს. ამგვარ მდგომარეობაშია ევროპის ბურჟუაზია. იდეურად გამოფიტული, ის ჯერ კიდევ წარმოადგენს ეკონომიურად ძლიერ ძალას, რომელსაც ხელში უპყრია სახელმწიფო გამგებლობის სადავე.

სულ სხვა მდგომარეობაშია რუსეთის ბურჟუაზია. მას არ აქვს ისტორიული ტრადიციები. ყოფილი აბსოლუტიზმი მას მფარველობას უწევდა, მაგრამ სამაგიეროდ მისგან მოითხოვდა შეგუებას, შეთვისებას. და უნდა თქვას კაცმა, ამ შეგუებაში რუსეთის ბურჟუაზიამ დიდი ნიჭი გამოიჩინა. თუმცა ის ვერ თავსდებოდა აბსოლუტიზმის ფარგალში, მაგრამ მაინც მისგან გამორჩენა ჰქონდა და ამიტომ მაინც-და-მაინც ენერგიულად არ ეწინააღმდეგებოდა. ახლა მას გზა გაეკაფა, აბსოლუტიზმი ჩამოშორდა, სახელმწიფო სფერაში სამოქმედო ასპარეზი გაეხსნა. ცხადია, მისი მდგომარეობა მეტად გამოურკვეველია. იდეურ სიღატაკის მხრით ის ევროპის ბურჟუაზიაზე კიდევ უფრო დაბლა სდგას. სამაგიეროდ ეკონომიურად მისი მნიშვნელობა ისეთ მცირე მრეწველობიან ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, უფრო დიდია, ვიდრე ევროპის ბურჟუაზიისა. უკიდურესი პარტიები აღიარებენ, და ეს ნამდვილიცაა, რომ დღევანდელი მთავრობა ბურჟუაზიული იქნებაო. ეს ეკონომიურ ვითარების აუცილებელი შედეგია. ეკონომიური ურთიერთობა არ მისულა იმ წერტილზე, რომ შესაძლო იყოს დღესვე სოციალისტურ იდეალის განხორციელება.

ამნაირად, ჩვენ წინ ასეთი წინააღმდეგობა ისახება. სახელმწიფოს სათავეში უნდა მოექცეს საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც იდეურად შემოქმედებითი ძალას მოკლებულია, რომელმაც იდეურად უკვე მოჭამა თავისი წუთისოფელი და თავისი ალაგი დაუთმო მეორე კლასს, მომავალის წარმომადგენელს.

მუშები, რომელთა გამუდმებულმა ბრძოლამ დასცა აბსოლუტიზმი, დღეს შეკავშირებული არიან ერთ დიდ პარტიად, რომელიც რევოლუციონურ პარტიებში პირველობს მთელ რუსეთში. ეს პარტია არის სოციალ-დემოკრატია. მართალია, რუსეთში დღეს რამდენიმე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეგნებულ პროლეტარიატის მოქმედებას ერთობის ბეჭედი ასვია. თქმა არ უნდა, იდეურად ამ პარტიას პირველი ადგილი უჭირავს, ის მომავლისთვის იბრძვის და ამ ბრძოლაში მას ვერც ერთი სხვა საზოგადოებრივი ჯგუფი მეტოქეობას ვერ გაუწევს, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ სადღეისოდ მან დაიჭიროს ისეთი პოზიცია, რომელიც მას შეძლებას მისცემს თავისი იდეალის განხორციელებას შეუდგეს. ამ პარტიის ძალღეისო პოლიტიკურ პლატფორმის უმთავრეს მუხლად უნდა ჩავთვალოთ საყოველთაო საარჩევნო უფლების მოპოება. ვთქვათ, ეს მისწრაფება დღესვე განხორციელდა. შედეგი? მე არ მგონია, ვინმემ გადაჭრილი პასუხი მოგვცეს ამ კითხვაზე. ყოველ შემთხვევაში საყოველთაო არჩევნები უმრავლესობას არ მისცემს პროლეტარიატის წარმომადგენელთ. და მაშ მისი შედეგი იქნება მხოლოდ ბრძოლისათვის საერთო და აუცილებელ ნიადაგის მოპოვება.

დაგვრჩა ხალხის დიდი უმრავლესობა,—გლეხობა. გლეხობა ეკონომიურად არ წარმოადგენს ერთეულს. მასში თქვენ ნახავთ საკუთრებას მოკლებულ სოფლის მოჯამაგირეს, სანახევროდ გაღატაკებულ მესაკუთრეს, რომელიც სარჩოს მოსაპოებლად იძულებულია ყოველ წლივ დროებით მიატოვოს თავის კარ-მიდამო და სამუშაო სხვა ადგილას ეძებოს. ნახავთ აქ აგრეთვე შეძლებულს, ღონიერ მესაკუთრეს, რომელიც თავის საკუთრების ფარგალში იკმაყოფილებს ოჯახის მოთხოვნილებას და რაოდენადმე სხვისი შრომითაც სარგებლობს. ცხადია, ეს სხვადასხვაობა მდგომარეობისა მოითხოვს პოლიტიკურ შეხედულობის და საზოგადოებრივ მოთხოვნილების სხვადასხვაობასაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ჩვენ რუსეთის გლეხობის დიდ უმრავლესობაში ვერ ვამჩნევთ. მდგომარეობა მხოლოდ შეგნების ნიადაგია და იგი არ ნიშნავს უეჭველად ამ შეგნების არსებობას. პოლონეთის გლეხობა, ესტონელების და ლატიშების მოჯამაგირეები შეგნებულად პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ. ჩვენ აქ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს მომზადებულ ხალხთან. შიდა რუსეთის გლეხობის უმრავლესობა კი სხვა სურათს იძლევა. აქ ჯერ კიდევ არსებობს ერთგვარობა და ეს ერთგვარობა გონებრივ სიბნელეში გამოიხატება. უტყუარი ფაქტები ამის შესახებ მოგვცა ამ უკანასკნელმა დღეებმა. მოსკოვის გუბერნიის თითქმის ყველა პუნქტებიდან საერობო ექიმები და სხვა მოსამსახურენი იძულებული გახდნენ თავისთვის დროზე ეშველათ და გაპარულიყვნენ, რომ სიცოცხლე შეერჩინათ. ბევრ ქალაქებში სარბევად და საძარცვავად ხატებით ხელში 60—80 ვერსის სიშორიდან ურმებით მიემგზავრებოდნენ გლეხები. ის ხულიგანური მოძრაობა, რომელიც ამ ბოლო დროს მთელ რუსეთს მოედო და ბარბაროსულ სიმხეცეში გამოიხატა, უმეტესად მომქმედ ძალებს პოებდა გლეხებში და წვრილ მედუქნეებში.

რასაკვირველია, დღევანდელი სიბნელე, მხეცობა და შეუგნებლობა მოისპობა. მაგრამ ამას უნდა დრო და შესაფერი მუშაობა. ხოლო რა იქნება დღეს? რა პოზიციას დაიჭერს გლეხობა და რა როლს ითამაშებს ის სახელმწიფო წყობილების შექმნაში? აი საკითხი, რომელიც სადღეისოდ გადაჭრის რუსეთის ახალი წყობილების ხასიათს. ჩვენ ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ორი უმთავრესი ძალა ჩვენთვის სრულიად გამორკვეულია. ეს საშუალო ძალა კი ჯერ საიდუმლოებითაა მოცული. თუ რამე შეგვიძლია ვთქვათ, მხოლოდ ის, რომ დღევანდელი მისი უმეტესობა განუვითარებელ და რეაქციონურ ელემენტს წარმოადგენს.

ამნაირად დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქმედებენ იდეურად უკვე წარსულის წარმომადგენელი, ხოლო მატერიალურად ძლიერი ბურჟუაზია, იდეურად მომავლის მატარებელი და ერთობით ძლიერი მუშათა კლასი; ხოლო მათ შუაში გლეხობა, რომელიც სადღეისოდ ნაკლებ იმედებს იძლევა.

გ.

## გრაფი ვიტტე და რუსეთის რევოლუცია

—

უშესანიშნავესი სახელმწიფო ადამიანი, რომელიც კი დღევანდელ ოფიციალურ რუსეთს მოეპოება—ეს მიუცილებლად არის გრაფი ვიტტე.

ლიბერალების წარმოდგენით, იგი უფრო კიდევ შესანიშნავია. ვიტტემ—ამბობენ ისინი—ჩააქრო შორეულ-აღმოსავლეთში აბრიალებული ცეცხლი, ბოლო მოუღო საზარელ ომიანობას და ჩამოაგდო რუსეთისათვის საპატიო ზავი. ვიტტემ დაამხო ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა, მან იქონია სასიკეთო გავლენა ხელმწიფეზე, იგია მიზეზი 17 ოქტომბრის მანიფესტისა; იგივე მიანიჭებს რუსეთს განახლებულ პოლიტიკურ ცხოვრებას.

ვიტტე წამდაუწუმ პირზე აკერიათ; ვიტტეა ნამდვილი ,,герой нашего времени‘. მისკენ არის ათასობით მიპყრობილი ცრემლიანი თვალები; ხვეწნა-ვედრებით მისკენ აღაპყრობენ ხელებს ლიბერალები, მისგან ელიან შველას. იდუმალად ნატრობენ ვიტტეს დიქტატურას და ამხნევებენ ერთმანეთს: ,,а счастье такъ близко, такъ возможно‘‘. ოცნებაში გაზდილ რუსის ლიბერალების გულის-თქმა გასაგებია ისეთ დროს, როცა უფსკრულისაკენ დაქანებულ ძველ რეჟიმთან ერთად, წარსულის წყვდიადით შებურვილნი იკარგებიან პობედონოსცევი, გლაზოვი, ტრეპოვი და სხვები, რომელთა გახსენება რუსეთის მცხოვრებლებს ისეთსავე შიშის ზარსა სცემს, როგორც ოდესღაც ისტორიაში—იროდი, ნერონი, ტორკვემადო. ლიბერალების გულისთქმა მით უფრო გასაგებია, რომ ასეთ დროს ოფიციალურ პოლიტიკურ სცენაზე მთელის ახოვანებით სდგას გმირი, რომელსაც ცალხელში უპყრია გველეშაპის გამგმირავი ლახვარი და მეორეში ცისფერი ზაირალი. ვინ არის ეს გმირი?

ვიტტეს პოლიტიკურ მოღვაწეობის გაცნობა საგაზეთო წერილში მოუხერხებელია, მაგრამ შესაძლებელია აღინიშნოს მისი ფიზიონომიის დამახასიათებელი თვისება. ასეთია ამ წერილის მიზანი.

ვიტტეს პოლიტიკურ მოღვაწეობაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი აქტი მიუცილებლად არის იმისი მოხსენება ხელმწიფისადმი 17 ოქტომბრის თარიღით. მოხსენებაში სწერია: „ის აღრეულობა, რომელიც რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა წრეებს მოედო, შედეგი არ არის სახელმწიფო და სოციალურ კერძო მოუწყობლობისა, იგი არაა შედეგი არც უკიდურეს პარტიათა ორგანიზაციებისა; ეჭვი არ არის, რომ ამ აღრეულობის ფესვები ღრმადაა დამარხული რუსეთის საზოგადოების იდეიურ მიმართულებასა და მისი ცხოვრების გარეგან ფორმათა შორის არსებულ უთანხმოებაში. რუსეთს ვეღარ აკმაყოფილებს აწ არსებული წესწყობილება. იგი გაიზარდა... უპირველესად ყოვლისა, მთავრობამ უნდა განახორციელოს ძირითადი თვისებანი უფლებრივ წყობილებისა: თავისუფლება ბეჭდვისა, სიტყვისა, სინიდისისა, კრებისა, კავშირებისა და პირად ხელშეუხებლობისა. ყველა ეს უნდა დაუყოვნებლივ განხორციელებულ იქმნას“.

აი, როგორ ლაპარაკობს ვიტტე. ეს არის ბიუროკრატიის ენა, ეს არის ბიუროკრატიულ პროტოკოლის სტილი,—მოყვანილი სტრიქონები მოწმობენ ავტორის მაღალ პოლიტიკურ განათლებას, შორს-მხედველობას, სახელმწიფო კაცის ნიჭს. მაგრამ ამ ნიჭიერებით ვიტტე 17 ოქტომბერს როდი შემოსილა. საზღვარ გარეთის პრესაში გამოქვეყნებულ დოკუმენტებიდან კარგად ვიცით, რომ ვიტტე პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლისთანავე აღჭურვილი იყო იმავე ნიჭიერებით. ვიტტემ, კაი ხანია, ალღო აიღო რუსეთის პოლიტიკურ განვითარებისა. ის კარგად ხედავდა, საით იყო მიმართული ეს განვითარება; კარგად ხედავდა, რომ რუსეთის საერობო თვითმართველობის ლოღიკური განვითარება უნდა მისულიყო პარლამენტალურ წეს-წყობილებამდე, კარგად ხედავდა, რომ ერობა ვერ მოთავსდებოდა თვითმპყრობელობასთან; რომ მთავრობას ორში ერთი ჰქონდა ასარჩევი: სრულიად უნდა მოესპო საერობო თვითმართველობა და მით გამოეწვია სახელმწიფოს საშინელი კატასტროფა, ან და უნდა შესდგომოდა რეფორმებს პარლამენტარულ წეს-წყობილების დასამყარებლად. ვიტტემ კარგად იცოდა რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა, სამხედრო ძალა, იცოდა, რომ რუსეთს არ შეეძლო გამკლავებოდა პატარა, მაგრამ თავისუფალ და ძლიერ სახელმწიფოს; ვიტტე წინააღმდეგი იყო რუსეთ-იაპონიის ომისა; ვიტტე წინააღმდეგი იყო პოლიტიკურ მონობისა; ვიტტე წინააღმდეგი იყო აღვირწახსნილ რუსიფიკატორულ პოლიტიკისა, წინააღმდეგი იყო ებრაელების ჯაჭვზე გაკვრისა. ვიტტე ლიბერალი იყო და, სხვათაშორის, მომხრე ეროვნებათა მოქალაქობრივ თანასწორობისა.

მერე სად იყო ან რას აკეთებდა აქამდე? ვიტტე სათავეში ედგა (ფორმალურად მაინც) რუსეთის პოლიტიკას და გაქვავებული, გულ ხელ დაკრეფილი შესცქეროდა ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის ვაკხანალიას, საზარელ თარეშობას! ვიტტე გულგრილად უცქეროდა, თუ სასიკვდილო ცელი როგორ სთიბავდა რუსეთის ნორჩ, ახალგაზრდა, სასიცოცხლო ძალებს; იგი წარბ-შეუხრელი უცქეროდა, როგორ ახშობდნენ და ჰკლავდნენ პატიოსან გრძნობას, სამართლიანობისათვის ატრიალებულ მოქმედებას, სინათლე-თავისუფლებისათვის ატეხილ ბრძოლას. ვიტტეს ჩაბღუჯული ჰქონდა მინისტრობის პორტფელი, რომლის ერთი კუთხე ეჭირა პობედონოსცევს, მეორე—პლეევს და მესამეც—ტრეპოვს. მას თითიც არ გაუნძრევია, რომ ოდნავ მაინც შემცირებულიყო სახელმწიფოს უზომო ტკივილები ახლ პოლიტიკურ წეს-წყობილების წარმოსაშობად. თუ არ ვიანგარიშებთ რკინის გზების გაყვანას და მცირეოდენ მზრუნველობას ვაჭრობა მრეწველობის განვითარებაზე, ვიტტეს არაფერი გაუკეთებია იმ მიზნით, რომ ქვეყანას ასცილებოდა უსაზღვრო სიღარიბე, შიმშილობა, უმეცრება და ბოლოს საშინელი სისხლის ღვრა.

როდესაც 9 იანვარს დაფეთიანებული, თავზარდაცემული მოქალაქენი შუა ღამისას მიეჭრნენ ვიტტეს და შესტირეს: ღვთის გულისათვის, რისთვის გვარჩობენ სისხლის ღვარებშიო? მან უპასუხა: „მე არაფერი ფიცა, ეგ მე არ შემეხება, მე არაფერსა მკითხავენო‘‘. შეიძლება მკითხველმა გვიოხრას: იქნება ვიტტეს მართლა არაფერსა ჰკითხავდნენ და რა ექნა? ჭარა მკითხველი, თუ დაფიქრდება, დაგვეთანხმება: მარტო ის გარემოება, რომ ვიტტეს საპატიო ადგილი ეჭირა მთავრობაში, მას უსათუოდ პასუხის მგებელად ჰხდის ყველა იმ უბედურებისათვის, რაც კი ქვეყანას თავზე დაატყდა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში. ეს თვითონ ვიტტემაც კარგად იცის და კარგად იცოდა, მაგრამ ამ კითხვისა იმას არაოდეს არ ჰშინებია; ქვეყანა, ქვეყნის ინტერესები იმის მიზანი არაოდეს არ ყოფილა. მისი თვალები მარადის იყო სულ სხვა ვარსკვლავზე მიშტერებული და ეს ვარსკვლავი გახლავთ გრაფი ვიტტე.

ვიტტე ტიპიური წარმომადგენელია კარიერისტი პოლიტიკოსისა და, როგორც ყველა კარიერისტი, იგი სრულიად დაბალ—,,პრობიანი‘‘ ოპორტიუნისტია. იგი პოლიტიკურ ზღვაზე მოგდებული ნაფოტია; მიექანება იქით, საითაც ტალღების ძალა სჭარბობს. იგი ლიბერალია, როცა ლიბერალური ქარი ჰბერავს, რეაქციონერია, როცა ბნელი ძალები დააპირებენ გაბატონებას. უკანასკნელის ნიშნებს ჩვენ უკვე ვხედავთ. მიუხედავად 17 ოქტომბრის მანიფესტისა, პოლიტიკურ გაზაფხულის მომასწავებელი ვიტტეს მთავრობა ზამთრის სუსხიან სიოსა ჰბერავს განაპირა ქვეყნებისაკენ. მთელი პოლონეთი სამხედრო წესებზე გამოცხადებული და ჯარები იგზავნება ამ ქვეყნის „დასაპყრობად“. გაზაფხული უკეთესი არ არის თვითონ რუსეთში. თანახმად 31 ოქტომბრის უმაღლესად დამტკიცებული ინსტრუქციისა, გენერალ-ადიუტანტები იგზავნებიან სარატოვის, ჩერნიგოვის და ტამბოვის გუბერნიებში ,,მშვიდობიანობის‘‘ დასამყარებლად; გენერლებს ეძლევათ განკარგულებაში ჯარი და პოლიცია; მათვე ეძლევათ განსაკუთრებული უფლებანი: დაადატამონ პოლიტიკური ,,დამნაშავენი‘‘, დახურონ სხვადასხვა საზოგადო კრებები, აკრძალონ გამოცემა გაზეთებისა, ჟურნალებისა, ბროშურებისა, გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი და სხვ. ამგვარად, გრაფ ვიტტეს სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა. შუა უზის დიდი ხევარი. თუ გრაფს ერგება რამე რუსეთის რევოლუციიდან, ეს იქნება მისი საბრალმდებლო სკამზე მოწვევა. და თუ ვიტტეს მაინც უნდა ჯერ-ჯერობით შეინარჩუნოს პრემიერის პორტფელი, მან დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს შემდეგი პირობები:

1) მოხსნას ყველგან რუსეთის იმპერიაში სამხედრო წესები, ხალხს მოშორდეს ჯარები და კაზაკები; 2) განმტკიცდეს და გაფართოვდეს მანიფესტით გამოცხადებული მოქალაქობრივი თავისუფლებანი და ადამიანის ელემენტარული უფლებანი; 3) გადაყენებულ იქმნენ სამსახურიდან და სამართალში მიცემული ძველი რეჟიმის მომხრე ყველა ადმინისტრატორები და მოხელენი; 4) სასტიკი ზომები იქმნეს მიღებული ხულიგნური რეაქციის ასალაგმავად; დაარსდეს სახალხო დრუჟინები, ანუ სახალხო თუ სამოქალაქო მილიცია (მოქალაქობრივი გვარდია); 5) მოწვეულ იქმნეს საერო დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირის და ფარულის საარჩევნო ხმით.

ამ პირობათა შეუსრულებლივ ტყუილად ეცდება გრაფი პრემიერ პოსტზე გამაგრებას. ისტორიის ტალღები მას შორს გადასტყორცნის და ხალხი, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა მრავალ საუკუნეთა ტანჯვა-ვაება და უკანასკნელ წლებს მოხვეულ უბედურება საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, ხალხი, რომელმაც ბოლო მოუღო შორეულ აღმოსავლეთის სისხლიან ომს და დაანგრია ძველი რეჟიმის საფუძველი, ეს ხალხი უკანასკნელ სიტყვასაც საქმედ აქცევს და წამოაყენებს სათანადო პოლიტიკურ მოღვაწეებს სათანადო დროებითი მთავრობის შესადგენად.

დრო აღარ ითმენს დახანებას.

კანდელი

## წერილი მოსკოვიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

დღევანდელი დღე ის დღეა, როდესაც საბოლოოდ დაიმსხვრა ავტოკრატიული სახელმწიფო და მის ნაცვლად დაარსდა კონსტიტუციონალური იმპერია. სიხარულით გიგზავნით მოლოცვას ამ ქალაქიდან, რომელმაც უკანასკნელ ხანში ყველაზე დიდი როლი შეასრულა კონსტიტუციის მოპოვებაში.

# ფელეტონი

—

### რვა-საათიან სამუშაო დღისათვის ბრძოლა საფრანგეთში.

აგერ მალე ერთი წელიწადი გახდება მას აქეთ, რაც საფრანგეთში ძლიერი მოძრაობა დაიწყო 8 საათიან სამუშაო დღის შემოსაღებად. ამ ბრძოლამ ახლა მეტად საინტერესო ხასიათი და შესამჩნევი პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო. საფრანგეთის მუშათა ორგანიზაციების საერთო მორიგმა კონგრესმა, რომელიც 1901 წ. სექტემბერში შეიყარა პატარა ქალაქში, ბურჟში, გამოარკვია, როგორ ან როდის უნდა იქმნეს შემოღებული 8 საათიანი სამუშაო დღე, რომელმაც შესამჩნევად უნდა გააუმჯობესოს მუშა ხალხის მორალური და ქონებრივი მდგომარეობა, და ამის მიხედვით შესაფერი დადგენილებაც მიიღო. რაკი ბურჟის კონგრესს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის მუშათა ისტორიაში და რაკი ამ კონგრესით იწყება საფრანგეთის მუშათა მოძრაობაში ახალი ხანა, ამიტომ მეტი არ იქმნება ამ კონგრესზე ცოტაოდნად შევჩერდეთ.

1894 წ. ქ. …ში შეკრილმა მუშათა ორგანიზაციების …რესმა გადაჭრით და ოფიციალურად მიიღო საერთო გაფიცვა, როგორც საუკეთესო იარაღი პროლეტარიატისათვის თავის დასაცველად და საბოლოო იდეალების განსახორციელებლადაც. პარლამენტარიზმის მომხრე სოციალისტურ პარტიებს მეტად სწყინდათ მუშათა სინდიკატებისაგან განშორება, ვინაიდან სინდიკატები უკვე საგრძნობელ ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ მათი გაყრა აუცილებელი შეიქმნა, რადგანაც პარლამენტალურ მოქმედების მომხრე სოციალისტურ პარტიებს ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდათ საერთო გაფიცვის ბრძოლის საუკეთესო იარაღად აღიარება.

ამ გაყრის შემდეგ, ათის წლის განმავლობაში, მუშათა ორგანიზაციების კლასსიური მნიშვნელობა დღითი-დღე იზრდებოდა, სინდიკატთა ფედერაცია მუშათა კლასსიურ ბრძოლის შესამჩნევ ორგანოდ ხდებოდა, ხოლო პარლამენტარიზმის მომხრე სოციალისტები თანდათან უახლოვდებოდნენ მოწინავე, პროგრესსიულ დემოკრატიას. ამ ხნის განმავლობაში, რა თქმა უნდა, შეგნებულ მუშათა და მათ ორგანიზაციების რიცხვმა შესამჩნევად იმატა. 1895 წ. საფრანგეთის მუშებმა სცადეს არსებულ სინდიკატებისათვის და ფედერაციებისათვის თავი მოეყარათ და გაეერთიანებინათ ისინი ერთ მძლავრ ორგანიზაციაში. ამ აზრით იმავე წელს ქ. ლიმოჟში შემდგარ კონგრესზე „შრომის საერთო კონფედერაცია“ დაარსდა. მაგრამ, თუმცა ამ კონფედერაციის დაარსებას მიზეზად მის საჭიროების შეგნება ჰქონდა,—მან პირველ ხუთის წლის განმავლობაში მაინც შესამჩნევი გავლენა ვერ იქონია. „კონფედერაციის“ დაარსებამდის საფრანგეთში უკვე არსებობდა ეგრედ წოდებული „საფრანგეთის და მის ახალშენების ბირჟათა ფედერაცია“, რომელმაც ახლად დაარსებული კონფედერაცია თავის მეტოქედ მიიღო. ამ ორ ორგანიზაციის შეკეთებაზე ლაპარაკი იმ თავითვე დაიწყეს. ბირჟების ფედერაციას საშინლად ეშინოდა ცენტრალიზმისა და ბიუროკრატიისა და, ამას გარდა, მას ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდა გამორკვეული „შრომის ფედერაციის“ ნამდვილი ხასიათი და მიმართულება,—ეს ყოველივე ეს ხელს უშლიდა მათ შეერთებას.

მაგრამ შემდეგ, როდესაც გამოირკვა, რომ მუშათა კონფერენციას იგივე ხასიათი აქვს, როცა დაინახეს, რომ ორივე ორგანიზაცია ერთსა და იმავე იდეალებს ემსახურება, მათი შეერთების აუცილებლობა ყველა შეგნებულმა მუშამ ერთბაშად გამოაცხადა. საორგანიზაციო პრინციპად აღიარებულ იქმნა ფედერაცია, რამაც შეერთება კიდევ უფრო გააადვილა.

ეს შეერთება მოხდა 1902 წ. მომპელიეში შეგროვილ კონგრესზე. შეერთებულ ორგანიზაციას დაერქვა „შრომის შეერთებული კონფერენცია“, ანუ კიდევ „შრომის პარტია‘‘, რომელიც ორ ავტონომიურ ნაწილისაგან შესდგება: ,,ბირჟათა განყოფილება‘‘ და ,,ფედერაციათა განყოფილება‘‘. რაც უფრო მეტად ძლიერდებოდა ხსენებული ორგანიზაცია, მით უფრო ეტყობოდა სარევოლუციო მიმართულება, რომელიც თანდათან რეფორმების მომხრე უმცირესობას, რა თქმა უნდა, არ ეპაშნიკა. და, აი, ბ. ა. მილერანის ფარულ ხელმძღვანელობით რეფორმების მომხრე უმცირესობა ცდილობდა მთელ ორგანიზაციისათვის მიმართულება გამოეცვალა, სარევოლუციო ტაქტიკა დაეტოვებინათ და ორგანიზაციის ოფიციალურ მრწამსად გამოეცხადებინათ რეფორმიზმი, ე. ი. ცხოვრების თანდათან რეფორმების საშუალებით გამოცვლა.

ამ ორ მეტოქე მიმართულებათა შორის ქ. ბურჟში, კონგრესზე, საშინელი შეტაკება მოხდა და რამდენიმე დღის საშინელ და გაცხარებულ ბრძოლის შემდეგ რეფორმიზმი საშინლად და საბოლოოდ დამარცხდა. უფრო გაბედულ და მომქმედ ელემენტების გამარჯვებამ ,,კონფედერაციის‘‘ მომავალ მოქმედებას განსაკუთრებული ელფერი მისცა და, მართლაც, ამ დღიდან მოკიდებული, მუშათა მოძრაობის ხასიათი შესამჩნევად გამოიცვალა: მას ნამდვილი, აშკარა კლასიური ბრძოლის ხასიათი აშკარად შეეტყო. აი, რით არის შესანიშნავი ეს კონგრესი, აი, რატომ მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიაში.

საქმის ამნაირ დაყენებას ის პრაქტიკული შედეგი მოჰყვა, რომ 8 საათიან სამუშაო დღის შემოღების საკითხი პრაქტიკულ ნიადაგზე დადგა. და ამ საქმის გადაწყვეტა და ცხოვრებაში შემოღება მიენდო არა კანონმდებლობას, არამედ მუშა ხალხის ავტონომიურ მოქმედებას, მის ბრძოლას. კონგრესს, სხვათა შორის, ეს კითხვაც უნდა გადაეჭრა. ამ აზრით არჩეულმა კომისიამ, 15 კაცისაგან შემდგარმა, ამაზე მოხსენება შეიმუშავა და წაუკითხა კონგრესზე დამსწრეთ:

,,იმის შესახებ, თუ რა გზით შეიძლება რვა საათიან სამუშაო დღის განხორციელება, ჩვენს კომისიაში თავი იჩინა ორმა მიმართულებამ.

„ერთი მიმართულება ითხოვს, რომ შემუშავებულ იქმნას კანონის პროექტი, რომელსაც კონფედერაციის კომიტეტი გადასცემს მთავრობას. ამას გარდა, ითხოვენ, რომ შემუშავებულ იქმნას პეტიცია, გამართულ იქმნას სახალხო კრებები, და დავუმტკიცოთ მთავრობას, რომ მუშა ხალხის უმეტესობა ამ რეფორმის მსურველი არის.

„მეორე მიმართულება იმ აზრის არის, რომ მთავრობას არ მივმართოთ და რომ თვითონ მუშა-ხალხმა ძალა დაატანოს თავის მოწინააღმდეგეს და ამ ბრძოლაში ყოველივე მისთვის ხელმისაწდომ საშუალებას მიმართოს.

„ამის გარდა, კომისიის ყველა წევრი ამ უკანასკნელ მიმართულებას მიემხრო. კომისია აცხადებს, რომ წარსული შეცდომებიც საკმარისია, დრო არის, ძველ პლატონიურ საქმიანობის მაგიერად დავიწყოთ ნამდვილი, გაბედული საქმიანობა ისე, რომ ჩვენი მოთხოვნილებანი განვახორციელოთ.

„მართლაც, 1889 წელს აქეთ, ყოველ წლობით პეტიციებს ადგენენ 8 საათიან სამუშაო დღის სათხოვნელად, ყოველ წლობით მუშათა წარმომადგენელნი მუშათა მოთხოვნილებების სიას გადასცემენ მთავრობას, ყოველ წლობით 1 მაისის პლატონიურ მანიფესტაციებს მართავენ, მაგრამ არც ერთხელ არ იქმნა მიღებული მხედველობაში ეს პეტიციები, და ამ მოთხოვნილებებსაც ყურადღებას არავინ აქცევდა. ამ საქმეში გამოცდილება ბლომ გვაქვს, „სამუშაოს აღმომჩენ ბიუროს“ მოსპობის შემდეგ, სხვადასხვა დაწესებულება, რომელთაც ამ ბიუროს მოსპობა ჰქონდათ სახეში, პეტიციებს სწერდნენ მთავრობასთან წარსადგენად და მთავრობაც მათ წარმომადგენლებს მეგობრულად იღებდა და ჰპირდებოდა: „თქვენის თხოვნის დაკმაყოფილებას გულწრფელად შევუდგებით‘‘.

„ამ ბიუროების მოსპობის საქმე ხშირად პარლამენტის და სენატის წინაშეც ყოფილა წარდგენილი, სესსიის გ ხნის წინ მანიფესტაციები იმართებოდა, იწერებოდა პეტიციები იმის დასამტკიცებლად, რომ თითქმის მთელი მუშათა კლასი ამ რეფორმის შემოღების მსურველი არის. მიუხედავად ამისა, მთავრობამ უყურადღებოდ დასტოვა ის პროექტი, რომელსაც აზრად ჰქონდა ამ დაწესებულების მოსპობა...

„მხოლოდ მაშინ, როდესაც მუშებმა თვითონ დაიწყეს მოქმედება, ეს დაწესებულება მოისპო...

„ყოველ დღე ბიუროების მეპატრონეთ ძალას ატანდნენ, მათ მაღაზიებს სტეხავდნენ,—ბევრგან მუშებს პოლიციასთანაც შეტაკება მოუხდათ, პარიზი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ გეგონებოდათ, ომიანობა დაიწყოო, და, აი, ამ მოძრაობის დასამშვიდებლად პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის ძალით ქალაქის გამგეობებს ნება მიეცათ ეს ბიუროები მოესპოთ.

„მაშ ის რეფორმა, რომელიც ასე ენატრებოდა მუშა ხალხს, თვით მუშებს გაბედულ მოქმედებით იქმნა შემოღებული.

„აგრეთვე უნდა მოვიქცეთ, დასძენდა კომისია, 8 საათიან სამუშაო დღის განსახორციელებლად. ამ უკანასკნელ რეფორმისთვის დაწყებულ მოძრაობას მეტი მნიშვნელობა ექმნება, რადგანაც მასში მიიღებს მონაწილეობას მთელი მუშათა კლასი“.

ამ მოსაზრებით, კომისია ითხოვდა კონგრესისაგან შემდეგ გადაწყვეტილებების მიღებას:

„1906 წ. მაისისთვის მთელ საფრანგეთში გაიმართოს დიდი მანიფესტაციები და ყველა კომიტეტმა ახლავე პროპაგანდა დაიწყოს, რომ 1906 წ. 1 მაისიდან არც ერთმა მათგანმა 8 საათზე მეტი არ იმუშაოს და ორგანიზაციებისაგან განსაზღვრულ მინიმუმ ქირაზე ნაკლების მიღებაზე არ დაყაბულდეს.

„კომისია სთხოვს კონგრესს, გადასწყვიტოს, რომ 1906 წ. 1 მაისს შემდეგ მოძრაობა მხოლოდ იმ მეპატრონეთა წინააღმდეგ მიმართული იქნება, ვინც 8 საათიან სამუშაო დღის შემოღებაზე არ დასთანხმდება... მუშებმა ამ საქმეში მეტი ენერგია რომ გამოიჩინონ, საჭიროა ყველას გავაგებინოთ, რომ მუშებს მხოლოდ თავიანთ თავის იმედი უნდა ჰქონდეთ“...

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ეს გრძელი ამონაწერი, რომ მკითხველმა თვით მუშებს სიტყვით გაიგოს, თუ როგორ აპირებენ მუშები თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საკუთარ ძალღონით ბრძოლას. კომისიის ზემოხსენებული სიტყვები საკმაოდ ახასიათებენ საფრანგეთის მუშათა სულიერ მდგომარეობას. მათ მოკლე მოსწყინდათ, 15 წელიწადია,—ამბობდა ბურჟის კონგრესზე ერთი დელეგატთაგანი,—თეორიულად ვლაპარაკობთ 8 საათიან სამუშაო დღის შემოღებაზე და საამისო პროპაგანდას ვეწევით ხალხში. გვეყო ლაპარაკი, დროა პრაქტიკულ ნიადაგზე გადავდგეთ, დროა დავანებოთ თავი იმედებს, რომ ვინმე გარეშე განახორციელებს ჩვენს მოთხოვნილებას, დროა ჩვენს ბედიღბალზე ჩვენვე ვიზრუნოთ, რადგან ჩვენი „პრინციპი“ ჩვენთვის არაფერს შვრება, დროა შევიგნოთ, რომ ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა იმედი ვიქონიოთ მხოლოდ საკუთარ ძალაზე და იმედები დავამყაროთ მხოლოდ ჩვენს შეგნებულ მოქმედებაზე...„

ზევით უკვე ვთქვით, რომ ბურჟის კონგრესის შემდეგ საფრანგეთში თანამედროვე მუშათა მოძრაობას განსაკუთრებული ხასიათი მისცა და ზემოთ მოყვანილი სიტყვებიც ხომ ამას ხსნიდა. მეტოქეების დღემდის, ეგრედ წოდებული, მუშათა პარტიები სულ იმას ეუნებოდნენ მუშა ხალხს, —ასე და ასე მოიქეცით და ამა და ამა უფლებას მოგიპოვებთო. დღეს, როდესაც მუშა ხალხი გაიზარდა, როდესაც თვითონ მუშებმა მუშათა მოძრაობას სათავეში დაუდგნენ, საქმე სულ სხვა გზას დაადგა: „ჩვენ,—ამბობენ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები,—მუშებმა ის კი არ უნდა ვუთხრათ,—8 საათიან სამუშაო დღეს მოგცემთო, არა, ჩვენ უნდა ვუთხრათ, ეცადეთ იმდენი ძალღონე შეიკრიბოთ, რომ თქვენი სურვილი მოიყვანოთ სისრულეში… დღეთ ატეხეთ ჩარევას(?) შრომის პირობების გამორკვევაში. თქვენს ამ საქმეში ჩარევას მით უფრო მეტი შედეგი ექმნება, რაც უფრო ძლიერი იქნებით. 8 საათიან სამუშაო დღესაც თქვენ განახორციელებთ, როდესაც თვითონ თქვენ გადასწყვეტთ 8 საათზე მეტი არ იმუშაოთ“.

მკითხველი ხედავს, რომ ბურჟის კონგრესსი მუშათა მოძრაობის ისტორიაში ახალ ხანადაა დასახული.

* *
*

გათავდა ბურჟის კონგრესსი თუ არა, მუშათა ორგანიზაციები მართლაც მოქმედებას შეუდგნენ. პროპაგანდას და მოძრაობას ის რევოლუციური ელფერი დაედო სარწმუნოდ, რომელიც ბურჟის კონგრესზე მიღებული შეიქმნა. მოძრაობა თანდათან გაფართოვდა და გაძლიერდა,—ამ უკანასკნელ დროს მან მთელ საფრანგეთის მუშათა ყურადღება მიიპყრო. აქაიქ მიტინგები იმართებოდა, „კონფედერაციის“ დელეგატები შეუჩერებლად, მთელ საფრანგეთს მოედვნენ ახალი ლოზუნგით—8 საათი სამუშაო დღე, 8 საათი მოსვენება, 8 საათი სწავლა. გაზეთების წინადადების

მთელი რუსეთი რევოლიუციის ცეცხლით იყო გარემოცული; პოლონეთი, ფინლანდია, ლიტვა, საქართველო თავგანწირულად იბრძოდნენ თავისუფლების მოპოვებისთვის. შუაგული რუსეთი კი შედარებით დამშვიდებული იყო. მთავრობა ამით სარგებლობდა და სცდილობდა განმანთავისუფლებელ ბრძოლისათვის ნაციონალური ხასიათი მიეცა. მარტო ებრაელებსა, პოლონელებსა, ქართველებსა და სომხებს არ მოსწონთ რუსეთი, განცალკევებას სცდილობენო. ასეთი აზრი ვრცელდებოდა არა მარტო ჯარში, არამედ მუშებშიაც, და იმ ქალაქებში, სადაც რუსის მუშა ხალხი უმცირესობას შეადგენდა, ეს პროპაგანდა ნიადაგს პოულობდა; არსდებოდა შავი რაზმები და სხვა...

ამ პროპაგანდას ძალა ჰქონდა მხოლოდ მიტომ, რომ მართლაც ის ქალაქები, სადაც მუშა ხალხის უმრავლესობას რუსები შეადგენენ, მოძრაობაში თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ (პეტერბურგში მომხდარს ამბებს 9 იანვარს მე ვერასგზით რევოლუციონურ მოძრაობას ვერ ვუწოდებ). მაგრამ ეს იარაღიც მთავრობას ხელიდან მალე გამოეცალა. მოსკოვი, ეს უკანასკნელი იმედი რეაქციონერებისა, აღელდა და გადასდგა წინ ნაბიჯი და ამასთანავე ისეთი ძლიერი და თამამი ნაბიჯი, რომ შიშის ზარი დასცა ძველ დახავსებულ წესწყობილების მომხრეებს. ერთის სიტყვით, თავისუფლებისვის მებრძოლმა ხალხმა რეაქციონერებს შიგ გულში დასცა მახვილი. გული ატოკდა და მისი ღელვა გავრცელდა მთელ ორგანიზმზე.

მოსკოვში მოძრაობა დაიწყეს ასოთამწყობებმა მათი მოძრაობა არ იყო ეკონომიური რადგანაც ისენი განსაკუთრებით პოლიტიკურ თავისუფლებას თხოულობდნენ. ეს მოძრაობა იყო მეტის-მეტად აღფრთოვანებული. სადაც კი ჯარი გაჩნდებოდა, მუშები მაშინვე ქვებს დაუშენდნენ ხოლმე და ბევრიც დასჭრეს. უეჭველია, გაზეთებიდან გეცოდინებათ, რომ ფილიპოვის მეფურნეები მესამე სართულზედ ავიდნენ და იქიდან დაუშინეს ჯარს ქვები, აგურები, ბოთლები, ჯოხები და სხვა. ყოველი მათგანი ბრძოლის სურვილით იყო გამსჭვალული.

მოსკოვის რევოლუციონურმა მოძრაობამ გამოიწვია ანალოგიური მოძრაობა პეტერბურგში და, რა წამს მოსკოვის რკინის გზის მუშებმა მუშაობას თავი დაანებეს და პირველ პლანზე წამოაყენეს პოლიტიკური მოთხოვნილებანი, მაშინვე მოსკოვს მხარი დაუჭირეს სხვა ქალაქებმა და მოხდა ისეთი პოლიტიკური გაფიცვა, რომლის მსგავსიც ისტორიამ არ იცის. ამ გაფიცვამ მთავრობას ნათლად დაანახვა, რომ რევოლუცია შორს აღარ არის, თუ დაუყოვნებლივ ძირითად რეფორმებს არ შემოიღებს და აი, პროლეტარიატის და გლეხკაცობის ბრძოლის შედეგად, მოჰყვა კონსტიტუცია. რასაკვირველია მანიფესტში მეტად ბუნდოვანად არის ნათქვამი „თავისუფლება სიტყვისა“ (პრესსისა?!), პიროვნების ხელშეუხებლობა, კრების და კავშირების თავისუფლება, რასაკვირველია ყველა ეს თავისუფლება ქაღალდზე არის ნათქვამი და ცხოვრებაში მალე გაყვანილი არ იქნება, ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ბიუროკრატიული მთავრობა, გულითაც რომ უნდოდეს, ვერ მიანიჭებს ხალხს ნამდვილ პოლიტიკურ თავისუფლებას; მაგრამ განა ეს გარემოება რაიმე მნიშვნელობას ჰკარგავს 17 ოკტომბერს? ჩემის აზრით, სრულიადაც არა. დიდი მნიშვნელობა ამ ისტორიულის დღისა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო საბჭომ მიიღო კანონმდებლობითი უფლება. ვერც ერთი კანონი ვერ შესრულდება, თუ სახელმწიფო საბჭო თანახმა არ იქნება. სახელმწიფო საბჭოს წევრების უმრავლესობას ლიბერალები შეადგენენ, უმეტესად ერობის წარმომადგენლები და კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიის წევრები. ხოლო ჩვენ უკვე ვიცით რა რეფორმებისთვის იბრძვიან ესენი, ვიცით ეს სექტემბრის კრების ოქმებიდან.

ხალხის გამარჯვება იმაში მდგომარეობს, რომ მან მთავრობას იარაღი ხელიდან გამოსტაცა. ჩემის აზრით, ეხლა მეტად საჭიროა საზოგადოებამ გაიცნოს კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა, რომელსაც ეს პარტია და ის ერობის წარმომადგენლნი, რომელნიც სახელმწიფო საბჭოში იქმნებიან ამორჩეულნი, მტკიცედ დაიცავენ.

ამ პროგრამას დაწვრილებით შეგატყობინებთ. ეხლა კი გიამბობთ მოკლედ, 18 ოქტომბერს რა ხდებოდა მოსკოვში.

დილა-ადრიან მთელი ქალაქი ბაირაღებით მორთო. ყველას სახეზე სიხარული გამოიხატებოდა. უნივერსიტეტში მიტინგი მოხდა ცნობილ მწერლის ჩირიკოვის თავმჯდომარეობით, რომელზედაც ის აზრი იყო გამოთქმული, რომ ბრძოლა არ გათავებულა, პროლეტარიატი და ყველა მებრძოლი თავისუფლებისთვის უნდა ფრთხილად იყოს, რადგანაც აბსოლუტიზმი მეტის-მეტი ცბიერი მტერია, შეიძლება თავს იკატუნებს და გვატყუებსო.

უნივერსიტეტიდან თეატრალურ მოედნისაკენ გაემართა ხალხი და აქაც ჯარის თანადასწრებით მოხდა მიტინგი, რომელზედაც ძალიან ბევრი მხურვალე სიტყვა წარმოითქვა.

ხალხმა გარდაწყვიტა, ახლავე მოითხოვოს პოლიტიკურ დამნაშავეების განთავისუფლება. მან აირჩია დეპუტაცია, რომელიც გენერალ გუბერნატორისკენ გაემართა. თვითონ ხალხი კი რამდენიმე უზარმაზარ ჯგუფებად დაიყო და ზოგის ერთი ციხისკენ გაემართა, ზოგი მეორისკენ. მალე 10000 კაცი და ქალი, მუშა და სტუდენტი „ბუტირკის“ ციხესთან გაჩნდა წითელის ბაირაღებით. ციხის კოშკებიდანაც დამწყვდეულებმა გამოფინეს წითელი დროშები და ხალხს გადმოსძახეს ,,თავისუფლებას გაუმარჯოსო''.

აქაც არჩეულ იქმნა დეპუტაცია, რომელმაც ციხის უფროსს მიმართა თხოვნით, განთავისუფლეთ დასჯილნიო. ციხეში ამ დროს ვიცე-გუბერნატორი იყო, რომელმაც უპასუხა დეპუტაციას, რომ ისინი, ვინც გაძლიერებულ წესის ძალით იყვნენ საპყრობილეში ჩამწყვდეულნი, უკვე განთავისუფლებულ იქმნენ, დანარჩენებს გაანთავისუფლებენ 3 დღის განმავლობაშიო.

მაშინ ერთი სტუდენტი მიუბრუნდა ხალხს ვიცე გუბერნატორის თანადასწრებით და სთქვა, რომ მას არა სჯერა უკანასკნელის სიტყვები. თუ მართლა უკვე გაანთავისუფლეს თავისუფლებისთვის მებრძოლნი, მაშინ ნება მოგვეცენ გავგზავნოთ ციხეში დეპუტაცია, რომელიც სხვა დამწყვდეულების მოწმობით უნდა დარწმუნდეს, მართლა გაანთავისუფლეს თუ არა? ბოლოს აღმოჩნდა, რომ ვიცე გუბერნატორი სტყუოდა.

ეს სიცრუე ძალიან ადვილად გამოირკვა. ნახევარ საათის შემდეგ გენერალ-გუბერნატორისაგან ბრძანება მოვიდა: გაანთავისუფლეთ ყველანი, ვინც გაძლიერებულ დაცვის წესების ძალით არიან დატუსაღებულნიო. „ბუტირკაში“ 114 კაცი აღმოჩნდა. ამათ რიცხვში ბევრი ფილიპოვის მეფურნეები იყვნენ, რომელნიც ისხდნენ იმიტომ, რომ ჯარს სართულიდან ქვები დაუშინეს. რამდენიმე ათასი კაცი გამწკრივდა მათ წინ და „ვაშას“ ძახილით მიეგება. „გმადლობთ, ამხანაგებო, რომ გაგვანთავისუფლეთ, თავისუფლებას გაუმარჯოს“, სიხარულით ჰყვიროდნენ განთავისუფლებული მუშები.

როდესაც ყველანი გამოუშვეს, ეს აურებელი ხალხი ,,მარსელიეზას' მღერით გაემართა ტვერის ქუჩისკენ. გზაში ვინც კი ხვდებოდა, ყველა ქუდს იხდიდა და ჰყვიროდა: ,,თავისუფლებას გაუმარჯოს''. ყველა სახლიდან ხელცახოცების ქნევით და ტაშის კვრით ულოცავდნენ მანიფესტანტებს თავისუფლებას. მაგრამ ეს მშვიდი დემონსტრაცია მალე ბრძოლად გადაიქცა ორ მოწინააღმდეგეთა შორის.

ტვერის ქუჩაზე მანიფესტანტებს წინ შეხვდნენ მეორე მანიფესტანტები, მეფის სურათით და ნაციონალურ ფლაგებით. არც ერთს მხარეს არა სურდა უკან დახევა. მაშინ ,,შავი რაზმელები'' ჯოხების ქნევით მისცვივდნენ მუშებს და სტუდენტებს, მაგრამ უკანასკნელებმა ბრაუნინგის სისტემის რევოლვერები ესროლეს და რამდენიმე წამში კუდით ქვა ასროლინეს ,,პატრიოტებს''. ესეთი შეტაკება სხვა ადგილებშიაც მოხდა და ყველგან გამარჯვებული სტუდენტები და მუშები დარჩნენ. შავი რაზმები ყასბებისა და წვრილ მოვაჭრეებისგან არიან შედგენილნი. თუ სადმე მოიხელებენ ერთს ან ორს სტუდენტს, ან მუშას, მაშინვე მისცვივდებიან და შეუბრალებლად სცემენ, და რა წამს დაინახავენ მუშების ან სტუდენტების ჯგუფს, მაშინვე მიიმალებიან ხოლმე.

შ. ნ.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი**, 3. „სლოვო“ გადმოგვცემს, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნები დეკემბრის პირველ რიცხვებში მოხდება. „რუს“-ში დაბეჭდილია საერობო და საქალაქო მოღვაწეთა ცენტრალურ კომიტეტის წევრთა სია. სიაში ბევრი ჟურნალისტიცაა დასახელებული. კომიტეტს აზრად აქვს, დაეხმაროს მცხოვრებთ გაუგებარ საკითხების ახსნა-განმარტებაში, რომელიც წარმოსდგება საბჭოს შესახებ დებულების სისრულეში მოყვანის დროს.

,,ნოვოე ვრემია'' იუწყება, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში მთლიანის სტუდენტებს კრება გაუმართავთ და საჭიროდ უცვნიათ მთლიანის ავტონომია, რომელიც დემოკრატიულ-ფედერატიული უნდა იყოს.

„პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ს სიტყვით, სამხედრო მინისტრი არ დათანხმებულა, რომ პოლკებში უმაღლეს თანამდებობის აღმასრულებელნი არჩეულ იქმნან ხოლმე.

**დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ**

რედაქციამ გურიაში დაზარალებულთა სასარგებლოდ მიიღო მღვ. ეპიფანე ჯიოშვილისაგან 15 მან. და პ. ს. მაჭავარიანისაგან 3 მან. სულ 18 მანათი, წინეთ მიღებულთან სულ შემოსულია 148 მანათი.

# ახალი ამბავი

რამდენიმე პოლიტიკურ დამნაშავეს, რომელნიც, 17 მანიფესტის ძალით, მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს, **სახლში საიდუმლო სტამბა აღმოაჩნდა**. ერთმა ამათგანმა ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს მიმართა: სტამბა დამიბრუნეთო. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა უპასუხა: საგანს პატრონთათვის სტამბების დაბრუნების შესახებ ადგილობრივი მთავრობა ახლა არჩევს და მოსალოდნელია, ამ დღეებში ყველა სტამბები თავიანთ პატრონებს გადაეცემაო.

◆ სამხატვრო სასწავლებლის მოწაფეთა სიტყვით, ამ სასწავლებლის მოწაფე, გვარად დოლსკი, გოლოვინის პროსპექტზე 22 ოქტომბერს მომხდარ სისხლის ღვრას **დასწრებია და ჭკუაზე შეშლილა**. 29 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე, სიონის ტაძრის სამრეკლოზე ასულა და ზარების რეკვა დაუწყია. პოლიციას დაუტუსაღებია და მეორე დღეს გაუნთავისუფლებია. შემდეგ, 31 ოქტომბერს, სახრალო სადღაც გადაკარგულა. მშობლები პოლიციასთან ერთად ეძებენ, მაგრამ ვერსად უპოვნიათ.

◆ ხმოსანმა მ. ი. სვეშნიკოვმა განცხადება შეიტანა ტფილისის ქალაქის გამგეობაში იმის შესახებ, რომ ტფილისის თვითმართველობა მიემხროს **კავშირთა კავშირს**, რომელიც ითხოვს ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთა სრულ ამნისტიას. თუ სრული ამნისტია არ იქნება მონიჭებული—სწერს ბ-ნი სვეშნიკოვი—შეუძლებელია როგორც რუსეთისა, ისე კავკასიის დამშვიდება, ამიტომ ტფილისის ქალაქის თვითმართველობა, მე მგონია, მხარს დაუჭერს ასეთს მოთხოვნილებასაო.

◆ გურიის შესახებ ხმ. მ. სვეშნიკოვმა ქალაქის გამგეობაში გუშინ შემდეგი განცხადება შეიტანა: ,,ის ამხრება, რომელიც კაზაკთა ეგზეკუციამ მიაყენა ბედკრულ გლეხობას გურიისას, კავკასიის განმანთავისუფლებელ მოძრაობის ამ მოწინავე პოზიციას, ვალდებულად გვხდის, რომ აკლებულ მხარეს მდგომარეობას ყურადღება მივაქციოთ. ამიტომ ქალაქის საბჭოს ვთხოვ, რომ დაზარალებულ მოძმეთა, **თავისუფლებისთვის თავ განწირულ გურულთა სასარგებლოდ, გადასდოს ფული**“.

◆ 4 ნოემბერს, დილის 7 საათსა და 15 წუთზე, საგანგებო მატარებლით **სამტრედიას წავიდა** კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი **მალამა**.

◆ სადგ. ძირულაში, 2 ნოემბერს, **სამხედრო მატარებლები ერთმანეთს დაეჯახა**. ამ ამბის გამო შემდეგ დაწვრილებით ცნობებს გვატყობინებენ: რკინის გზის მოხელე-მოსამსახურეები გაფიცულნი იყვნენ. მატარებლებზე რკინის გზის ბატალიონის ჯარის კაცნი მუშაობდნენ. 2 ნოემბერს, 4 საათზე, სადგურ ბელაგორიდან ძირულაში გაისტუმრეს სამხედრო მატარებელი. ამ მატარებელს უკანვე დაადევნეს მეორე სამხედრო მატარებელი; სწორედ იმ დროს, როდესაც ძირულიდან უნდა დაძრულიყო პირველი სამხედრო მატარებელი, უკანიდან დაეჯახა მეორე მატარებელი. დაიმტვრა თხუთმეტი ვაგონი და ერთი ორთქლმავალი, 25 ჯარის კაცი დაშავდა და 8 მოკვდა. ამ უბედურების დროს სალდათებს და მათ მბრძანებლებს ეგონათ, რომ ეს-ეს არის დაგვეცნენო, და მახლობელ სოფელს თოფები დაუშინეს. მცხოვრებთაგან მოკლულია ორი, დაჭრილია ოთხი. ჰფიქრობენ, რომ ამ სოფელს უფრო დიდი უბედურება მოუვიდაო.

◆ ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, ტფილისის **მიწის მზომელთა სასწავლებლის მოწაფეებს კრება ჰქონდათ** სასწავლებლის შენობაში. კრებამ დიდის უმრავლესობით გადასწყვიტა: განვაგრძოთ გაფიცვა, სანამ არ იქმნება მოწვეული სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირის და ფარულის კენჭის ყრით; მხოლოდ ასეთ კრებას ძალუძს მთელი სასწავლებლის ძირიან-ფესვიანად გადაკეთება და გაახლებაო. არჩეულ იქმნა აგრეთვე სამი დელეგატი, რომლებმაც კავშირი უნდა იქონიონ სხვა სასწავლებლების წარმომადგენლებთან და მათთან ერთად ესა თუ ის ტეხნიკური კითხვები გაითვალისწინონ.

◆ ამ დღეებში **ტფილისის პოლკის აფიცრებს კრება ჰქონდათ, რომ გამოერკვიათ, 22 ოქტომბერს სისხლის ღვრაში ვინ იყვნენ დამნაშავენი**. აფიცერთა ერთმა ჯგუფმა განაცხადა: სისხლის ღვრაში დამნაშავენი არიან თვით დაზარალებულნი, რადგან ქვებისა და რევოლვერების სროლით ჯარი გამოიწვიეს, რომ იარაღი ეხმარაო. აფიცერთა მეორე ჯგუფი იმ აზრისა იყო, რომ სისხლის ღვრა გამოწვეულ იქმნა პატრიოტების პარტიის წევრებისგან და ყოველ შემთხვევაში ჯარს, არც სხვას არაფერი ევნებოდა ხალხისაგან, რომ ჯარს იარაღი არ ეხმარა. კრებამ აირჩია კომისია, რომელიც სისხლის ღვრის ამბების თვალით მნახველთ ჩვენებას ჩამოართმევს და ამ საგნის შესახებ აფიცერთა კრებას თავის მოხსენებას წარუდგენს.

◆ ხმოსნად ნამყოფმა ხრამელაშვილმა გუშინ ქალაქის მოურავს, თავ. ჩერქეზიშვილს, წარუდგინა განცხადება. ხმოსანი ხრამელაშვილი სთხოვს, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრებას წარედგინოს განსახილველად საკითხი იმის შესახებ, რომ 1) უკანასკნელ ხანებში **დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ** ქალაქის თანხიდან გადაიდოს ფული და 2) ადრესი მიერთვას ქუთაისის გუბერნატორს სტაროსელსკის, რომლის მეოხებითაც აცილებულ იქმნა გურიაში მოსალოდნელი უბედურება და საშინელი სისხლის ღვრა.

◆ როგორც გადმოგვცეს, ქალაქის საბჭოს ერთ ხმოსანს განუზრახავს ტფილისის ქალაქის საბჭოში აღძრას საკითხი იმის შესახებ, რომ ფული გადაიდოს **კაზაკთა ეგზეკუციის მიერ დაზარალებულ ქართლის გლეხობის სასარგებლოდ**.

◆ ნ. ი. თამამშევმა შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკთან ქ. განჯაში **ყოველდღიურ გაზეთის გამოცემის შესახებ რუსულ ენაზე**. გაზეთს სახელად ,,ელისავეტპოლსკი ვესტნიკი'' ერქმევა.

◆ გაზეთ ,,კავკაზ''-ში დაბეჭდილია ცნობილ ვ. **ფორკატტის წერილი რედაქციის მიმართ**. ბ-ნი ფორკატტი ამბობს, 40 წელიწადია სცენაზე ვმოღვაწეობ და ძლივს მოვესწარით რუსეთის განახლებას. იქნებ ღმერთმა ჰქნას და იმ ბედნიერ დღესაც მოვესწროთ, როდესაც რუსულ თეატრის ბედი ცენზორებისა, უვიცი მოხელეებისა, მხეც პოლიციმეისტერებისა, გაუნათლებელ ისპრავნიკებისა და ურიადნიკების ხელში აღარ იქმნებაო. შემდეგ ფორკატტი სწერს, რომ რუსის სცენის მოღვაწეთა კავშირს სწადიან ერთი დღიურ მიწას ტფილისის გუბერნიაში, იმავე მაზრაში, სოფელ ლისში დაუძლურებულ არტისტებისათვის თავშესაფარისა, ან სანატორიის ასაგებად.

◆ გუშინ **დაიწყო კენჭის ყრა** ტფილისის მაზრის სამხედრო ბეგრის საკრებულოში. სულ უნდა გაიყვანონ 256 კაცი.

◆ რადგან რკინის გზას წელს დიდ-ძალი ზარალი მოუვიდა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს გადაუწყვეტია: **მოსამსახურეთა შტატი შეამციროს**.

◆ გუშინ, 4 ნოემბერს, დაბა სურამს გაემგზავრა **ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსია**. თავმჯდომარედ პ. ა. ინფლიანდი, სასამართლოს წევრად—ი. ფ. მაიგური, ბრალმდებელი—ა. კარასევი. სესსია სურამში 9 ნოემბრამდე დარჩება.

◆ გუბერნატორმა მოქალაქეთა უფროსს მოსთხოვა თავისი აზრი შესახებ იმ საჩივრისა, რომელიც ზოგიერთ მოქალაქეთ აღძრეს უკანონო არჩევნებისა გამო.

◆ ამის წინად ტფილისის **სახაზინო თეატრის კაპელდინერებმა** სთხოვეს თეატრის დირექციას: რადგან წელს შემოსავალი არ არის, ფულით დამხმარება აღმოგვიჩინეო. დირექციამ თხოვნა დააკმაყოფილა. თითეულ კაპელდინერს ერთდროებით შემწეობად 300 მანათი მიეცა.

◆ კვირას, 6 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებს ქალაქის საბჭოს დარბაზში კრება ექმნებათ რამდენიმე საგნის განსახილველად.

◆ სოფ. მარტყოფის (ტფილისის მაზრა) მცხოვრებმა ნიკოლოზ თომას ძე ბერიშვილმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, სოფ. მარტყოფში უფასო **სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსების** შესახებ.

◆ ბათუმის მხარეზე რკინის გზის ყველა მოხელე შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას. ხალხი დიდის ამბით შეეგება სტაროსელსკის საგანგებო მატარებელს.

◆ ორშაბათს, 7 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება, სხვათა შორის, განიხილავს ხმოს. ალ. ხატისოვის წინადადებას ტფილისში მიტინგების მოწყობის შესახებ.

◆ ყველა შენობიდან ჯარი გაყვანილ იქმნა, გარდა „ევროპეის“ შენობისა, რომელის იჯარადარი ი. მამაცაშვილი ამას გამო საჩივარს შეიტანს სასამართლოში. ი. მამაცაშვილს 5.000 მანეთი ზარალი მისცემია.

◆ ბათუმამდე ამიერ კავკასიის რკინის გზის სტელეგრაფო მავთულები შეაკეთეს და 4 ნოემბერს, დილით, ბათუმმა ხმა ამოიღო.

◆ **ახალ-სენაკი**. ღამით, 1 ნოემბერს, მე-26 ვერსზე, ბოროტმა ხელმა ახსნეს ოთხი რელსი და წყალში გადაყარეს. სტელეგრაფო მავთულებიც გადაჭრილია.

◆ ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, მე-4-ე საპოლიციო უბანში, საღამოს 7½ საათზე, ვიღაც შეიარაღებულმა ყაჩაღებმა კოჯრის გზაზე სასტუმროს დაესხნენ იმავე უბნის ბოლოვანი ზოლოტარევი და იმავე წუთს თავს დაესხნენ მეჭურჭლის და მჭედლის დუქნებს და 175 მანათის ნივთები და იარაღი გაიტაცეს. ყაჩაღობის შემდეგ ერთი საეჭვო კაცი ნაკლულ გახსნილა.

◆ ხუთშაბათს, 4 ნოემბერს, მე-5-ე საპოლიციო უბანში, ოქრომჭედლების და პეშკინის ქუჩის კუთხეში, მოპკლის მეორეს ნივთებით მოვაჭრე მოსეს ფრიდმანი. მკვლელი დაიმალა, მკვლელობის მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ იგი, როგორც სახლის პატრონი ძლიერ სხვაგვარი მდგმურებს.

◆ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, ამჟამად სადგურზე თავმოყრილია, რამდენიმე ათასი მუშა და ელის თუ როდის მისცემენ განკარგულებას, რომ უფასოდ იქმნენ გადაყვანილნი. მუშებს შორის დიდი უსიამოვნება და აღელვებაა თურმე. სადგურზე ყაზახების ნაწილი მოთავსებული მზადებაშია.

◆ ბაქოდან ცნობებით, ბაქოში უკანასკნელ არეულობის დროს მოკვდნენ: სომეხი—51, რუსი—2, ქართველი—1, თათარი 1 და ებრაელი—1. დაჭრილია სომეხი—38, რუსი—14, ქართველი—1, მაჰმადიანი—4, სხვა ეროვნების—2. დაიწვა 28 სახლი, ამათში 24 სომხის, 1 რუსისა, ერთიც თათრისა. გაძარცვეს 36 კაცი: სომეხი—19, რუსი—4, ქართველი—5, ებრაელი—3.

◆ თათრების და სომხების ინტელიგენციას განუზრახავს რამდენიმე კრება ჰქონდეს სომხებისა და თათრების შუა განხეთქილების ბოლოს მოსაღებად.

◆ ბაქოს სომხის კათოლიკოსის შუამდგომლობის, ნამესტნიკმა განკარგულება მისცა: სომხის სასულიერო სასწავლებლის ტფილისის სომხის ქალების მარიამიან ჰოვნანიანის სკოლა, რომლიც დღემდე სულ განიხილავს სამინისტროს ექვემდებარებოდა.

◆ მე-7-ე საპოლიციო უბანში მოჰკლეს ცნობილი ყაჩაღი „მარტყმა“ იგივე მარტიროს მელიქ-ნუბაროვი.

◆ ქართლ-კახეთის სინოდალურ კანტორამ სთხოვა განჯის სასულიერო სასამართლოს, დაადგინოს „ბრუნტი“ ფონდად ზაზარიანის რამდენიმე მილონის მამული.

◆ მე-7-ე საპოლიციო უბანში მოჰკლეს ახმედ-აამან-ოღლი.

◆ კომერციული სურსათით კრედ. დამხმარებელ ბანკებმა აცნობეს სასინოდო კანტორას, რომ გიორგი ზაზარიანს დაუგირავებია ამ ბანკებში სახელმწიფო რენტები ზარელის 28,700 მანათისა, ხოლო მეორეში 5000 მანათისა.

◆ **სად. სანხერე**. 2 ნოემბერს, ღამის ცხრა საათზე, შვიდი შეიარაღებული კაცი დაეცა სადგურის კასას და წაიღო 195 მ. 57 კ. და სახელმწიფო რეგისტრის [illegible] და მიიმალნენ.

# სურათი.

დღეს რომ ჩვენ მდგომარეობას ვუცქერდეთ, მაგონდება ერთი სურათი გამოჩენილ მხატვრისა. ამ სურათის დედა-აზრი აღებულია რომის ისტორიიდან.

თვალ-უწვდენელი მინდორი, რომელიც იკარგება შორს, შორს და თითქო ცის კამარას უერთდება. შორს მოჩანს სეებისენი შენობა, რომელიც პატრიცის ვილლა. მთელი მინდორი მოფენილია დახოცილთა გვამებით, რომელთაც დახვევია გაუმაძღარი ყვავ-ყორანი.

ეს არის ბრძოლის ველი. დახოცილთა შორის მოსჩანან მშვენივრად შემოსილი პატრიცები, და მათთან გდია ნახევრად შიშველი, ღონიერი პლებეი. მაგრამ მთელი ყურადღება მიქცეულია ერთ ჯგუფზე, რომელიც შეიცავს სურათის დედა-აზრს.

ძირს გდია გაბერილი, პირ-გაპობილი პატრიცი და დასრულებელი ხელით ამბობს, რომ მტერს რამდ აჯობა. მაგრამ ამაოდ!

ბეჭდვა, რომელსაც მიზნად აქვს ამ მოთხოვნის განმარტება და გამორკვევა იმისი, თუ რა გზით არის შესაძლო განხორციელდეს ხსენებული მოთხოვნა. გახშირდა მოწოდებები, გაზეთების საამისოდ შედგენილი განსაკუთრებული ნომრები. თვით მუშათა ორგანიზაციების სპეციალური, ორგანო—„ვუა დიუ პეპლ“ (ხალხის ხმა) თითქმის ყოველ ნომერში სწერს რასმე ხსენებულ საკითხის შესახებ, მუშებს ამხნევებს, მათში სამოქმედოთ ენერგიას აღვიძებს. იბეჭდება ათი ათასობით პატარ-პატარა განცხადებები, ამგვარი შინაარსისა: „1906 წ. 1 მაისიდან მოკიდებული ჩვენ არას გულისთვის 8 საათზე მეტს არ ვიმუშავებთ“; ან კიდევ: „გვსურს 8 საათის მუშაობა, 8 საათი მოსვენება და 8 საათი სწავლა“. ხელის მოწერა საჭირო არ არის,—მთელმა საფრანგეთმა ისედაც კარგად იცის, ვინ არიან ისინი, ვინც ასე გადაჭრით თავის გადაწყვეტილებას აცხადებენ. ამ პაწია განცხადებებს მუშები აკრავენ ყველგან, სადაც კი შესაძლო არის: ტელეფონისა და ტელეგრაფის სვეტებზე, სახლების კედლებზე და კარებზე, მაღაზიების და ქარხნების კარებზე, ერთის სიტყვით, ყველგან...

აურიცხველ მოწოდებათა შინაარსი თითქმის ერთი და იგივე არის, სხვაობს მხოლოდ კილო და ზოგიერთი სიტყვები. აი, ერთ მათგანის შინაარსი:

,,მუშავ, ნუთუ იმისთვის ხარ დედამიწაზე, რომ მუდამ, როგორც მონამ, იმუშაო შენი პატრონის გასასუქებლად?

— არა და არა!

დედამიწაზე იმისთვის ხარ გაჩენილი, რომ იცხოვრო, რაც შეიძლება, უკეთ, ისარგებლო ბუნების სიმშვენიერით და სიმდიდრით, რომ მიიღო და შეიგნო შენი წილი ყველაფერში, რაც შეუქმნია ადამიანის წარმოების გენიოსობას.

მერე რისთვის არ მიდის შენი სიცოცხლე ასე? იმიტომ, რომ შენ თვითონ არ მოგინდომებია. გაკლია შეგნება და საამისო სურვილი.

ძლიერი ხარ, მაგრამ ჯერ არ გრძნობ შენ ძლიერებას, ხრი კისერს და ითმენ იმ აუტანელ პირობებს, რომელიც მოგახვიეს თავზე კაპიტალისტებმა, თუმცა თქვენ მეტნი ხართ, ერთი კაპიტალისტი ას მუშაზე მოდის. რომ გინდოდეს, მალე და ადვილად გააუმჯობესებ შენს ახლანდელ მდგომარეობას.

გინდა შენი მდგომარეობის გაუმჯობესება?

თუ მართლა გინდა, მოდი ჩვენთან, შრომით შენ მოძმეს შემოუერთდი, მოგვეხმარე, რომ მებატონეთ, პატრონებს გამოვგლიჯოთ ხელიდან პირველი შეღავათი. ამ შეღავათს მთელი პროლეტარიატი იგრძნობს, რადგანაც იგი მის ცხოვრებაში ქონებრივსა და მორალურ გაუმჯობესებას შეიტანს. დამტკიცდება, რომ შეგვძლებია ჩვენ სურვილების განხორციელება. იმ შეღავათს, რომლის მოსაპოვებლად გიწოდებთ თქვენ, ამხანაგებო, 8 საათიანი სამუშაო დღე ჰქვია!“

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც 8 საათიან სამუშაო დღის საჭიროება გამოარკვიეს. დიდიხანია მას აქეთ, რაც ამაზე ლაპარაკობენ: 1866 წ. საერთაშორისო მუშათა ამხანაგობამ, ჟენევაში შეყრილ კონგრესზე, უკვე გამოაცხადა ამ საქმის მნიშვნელობა მუშა ხალხისთვის და აღიარა მის განხორციელების აუცილებელი საჭიროება. მას შემდეგ ყველა მოწინავე პარტიას ეს საკითხი თავის პროგრამაში შეაქვს და ყველა მუშა ხალხს ჰპირდება ამ რეფორმის განხორციელებას, მაგრამ დღემდის ეს დაპირება დაპირებადვე დარჩა. როცა მუშა ხალხს მოცდა მოსწყინდა და თვითონ ჩაერია საქმეში, ამ საკითხმა სიმწვავე მიიღო. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი შეტაკება და გაფიცვა გამოიწვია ამ ნიადაგზე ატეხილმა ბრძოლამ და ეს ბრძოლა ხომ ჯერეც არ დასრულებულა, მხოლოდ ახლა იწყება...

მუშა დაიღალა, მან პოლიტიკურ პარტიათა იმედი და ნდობა დაჰკარგა და ახლა თვითონვე შეუდგა თავის საქმეების მოწესრიგებას.

„ერთად-ერთი საშუალება ამ იდეალის მისაღწევად შემდეგი არის: შევკრათ პირი და 8 საათზე მეტი არ ვიმუშაოთ. ამ ტაქტიკის ღირსება, სხვათა შორის, ის არის, რომ ეს ერთადერთი ლოღიკური ტაქტიკა არის: ყოველი შეღავათი, არსებულ წესწყობილების გაუმჯობესება, თავისუფლების გაფართოვება, ამაში დაინტერესებულ კლასთა გაბედულ და ავტონომიურ მოქმედებით მოიპოვება. განა ამას ნათლად არ გვიმტკიცებს კაცობრიობის განვითარების ისტორიიდან ყოველივე ფურცელი? ვისწავლოთ ისტორია, ვისარგებლოდ ისტორიის გაკვეთილებით“!

აი, ეს აზრები ტრიალებს დღეს საფრანგეთის მოწინავე მუშებში. აი ამ პრინციპებით ხელმძღვანელობენ ისინი და, აი, ამაში გამოიხატება იქაურ მუშათა მოძრაობის სიღრმე და სიდიადე. ფრანგი მუშა ყოველთვის სოციალურ ცვლილებათა დამწყები ყოფილა, ახლაც იგი ამ საქმის დამწყებად გამოდის. ცუდი არ იქნება, მათ გამოცდილებას ყურადღება მიაქციონ სხვა ქვეყნების უფრო ნაკლებად გამოცდილმა მუშებმა. ცუდი არ იქმნება, ამ მოძრაობის შესწავლა და მისი პრინციპების შეთვისება გერმანელ მუშათა პარტიისა და მის ორგანიზაციებისთვისაც, ვინაიდან გერმანიაში, მიუხედავად სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სიდიდისა, იქაურ მუშათა ენერგიას და მათ პოლიტიკურ შეგნებას კიდევ ბევრი წვრთნა და განვითარება სჭირია.

ქამანდი ზ—ლია.

აქვე გულხელ-დაკრეფილი დგას პლებეი და გულგრილად უყურებს მომაკვდავ პატრიცის. თავის ძლიერის, ძარღვიანი ხელებით დაუცია მონას ბატონისათვის შუბი და გული გაუგმირავს და ახლა გამარჯვებული უყურებს თავის მტანჯველს...

ეს ერთი ეპიზოდია რომის ისტორიიდან, როდესაც გლადიატორებმა და მონებმა ვერ გაუძლეს მტარვალობას, ვეღარა სწიეს მონობის სამარცხვინო უღელი და იწყეს ბრძოლა, მედგარი ბრძოლა თავისუფლებისათვის მამაც სპარტაკის მეთაურობით. მონამ ვერ აიტანა მთავრობის სხვადასხვა შემავიწროებელი კანონები და გლადიატორებს მხარი მისცა. ბევრ მათგანს გაუგმირა გული რომელიმე ჯარის კაცის შუბმა იმ დროს, როდესაც იგი გატაცებული მომავლით, სანეტარო მომავლით თავის დროშის ქვეშ იძახდა:

„გაუმარჯოს თავისუფლებას!"

რომის მთავრობამ შეიგნო, რა ძალაც გამოჩნდა ახლა. იგი მიხვდა, რომ გაიღვიძა მასსამ, რომ მან შეიგნო თავისი ადამიანური უფლებები. მასსამ ოდნავ გაიღვიძა და მისი შეეშინდა მთავრობას და არისტოკრატიას.

ლეგიონი ლეგიონზე იგზავნებოდა აჯანყებულთა დასამორჩილებლად. მაგრამ არა! იღბალს სხვა უნდოდა. სპარტაკი ვერ დაიმორჩილეს. იგი დღითი დღე მეტ მომხრეებს იჩენდა და ეს მომხრეები კი უმთავრესად დაჩაგრულ, დამონებულ მასსიდან გამოდიოდნენ.

„ბრძოლა! ბრძოლა და ბრძოლა!" ეს იყო მათი დევიზი და ყველა იბრძოდა, სანამ მეთაური არ მოუკლეს.

სურათი სწორედ გადმოგვცემს ერთ ეპიზოდს ამ დიად ბრძოლიდან.

მომაგონდა ეს სურათი, რადგანაც თითქმის ისევ ის ხდება, რაც მოხდა ამ რამდენიმე ასის წლის წინად. ისტორიის ფაქტები თითქმის მეორდება!..

დამონებული, დაბეჩავებული, გაღატაკებული და უფლებას მოკლებული ხალხი იბრძოდა პოლიტიკურ თავისუფლებისათვის, მოქალაქობრივ უფლებებისათვის. დიდი ხანია იგი იბრძვის. დიდი მსხვერპლი შესწირა მან თავისუფლებას. უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და...

ხელიდან გამოჰგლიჯა მთავრობას ის ნეტარება, რომელსაც ჰქვიან თავისუფლება, მოქალაქობრივი უფლება. მან ხმალ-ფარი მოაშორა მთავრობას.

მაგრამ ადვილი არ არის ბიუროკრატიისათვის თავის თავის უარყოფა, იგი სულთ მობრძავ ადამიანსავით ხელს იქნევს. იგი ებრძვის სიკვდილს, ებრძვის ძლევა-მოსილ ხალხს. იგი ცდილობს რომე ავნოს თავის მტერს.

სისხლის ღვრა! სისხლით შეღებილი თავისუფლება! სასტიკი დაცინვაა ამ ორ სიტყვაში: თავისუფლება და სისხლის ღვრა! და ბიუროკრატიამ შეაერთა ორივე.

თვალწინ მიდგა პატარა გიმნაზიელი მიშა თავის ბავშური სახის გამომეტყველებით და ფუნჩულა ხელებით. ნეტავ ვიცოდე, რად უნდოდათ მტარვალებს მიშას სისხლი? ნუ თუ ამით დასტკბა სევდი—ბიუროკრატია?!

თვალწინ მიდგა გურია, აწიოკებული, გადაბუგული. ის გურია, რომელიც ავანგარდია მთელი ქართველ მოძრაობისა, ის გურია, რომელმაც თავის შეგნებით და მისწრაფებით წინ გაუსწრო ყველა კუთხეს!

ბიუროკრატია უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრეფს, რომ მუსრი გაავლოს ხალხს.

არა! არა და არა! ხალხმა იგემა თავისუფლება და ვერც ვისმე დაუთმობს მას! მან ბრძოლით მოიპოვა იგი და ან სიკვდილი მისთვის ან სრული გამარჯვება!..

ისმის მომაკვდავთა კვნესა და ოხვრა, დასახიჩრებულთა გმინვა; მაგრამ ყველა ამას აღემატება ხმა გამარჯვებისა.

ბიუროკრატიავ, შენ დიდი ხანია უკანასკნელი „საუკუნო ხსენება" გითხრეს! ხალხმა შეიგნო, ვინ ხარ შენ! და აწც ნუ იბრძვი შენი შავი ძალების დახმარებით! ნუ იბრძვი, როდესაც წითელ დროშას ხედავ! ნუ იბრძვი, როდესაც ბრძოლის ველიდან გამარჯვებულ ხალხის ხმა გესმის:

„გაუმარჯოს ხალხს! გაუმარჯოს თავისუფლებას"!

ვ. დ.

## ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება

ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, საბჭოს ხმოსანთა კრებას დიდძალი ხალხი მოაწყდა. კრება ცხრის ნახევარზე დაიწყო.

**თავ. ჩერქეზიშვილი.** კვირას, 6 ნოემბერს, მოსკოვში სრულიად რუსეთის საერობო და საქალაქო მოღვაწეთა კრება დაიწყება და აირჩიეთ ორი დელეგატი კრებაზე გასაგზავნად. ერთი ხმოსანი, თავ. ალ. მიხ. არღუთინსკი, ამჟამად მოსკოვშია და, თუ მას აირჩევთ, რწმუნების ქაღალდი გავუგზავნოთ. მეორე დელეგატი სხვა აირჩიეთ.

კრებამ დაადგინა, რადგან ახლად არჩეული დელეგატი მოსკოვში კრებას ვერ მიუსწრობს, დელეგატად არჩეულ იქმნეს მხოლოდ თავ. არღუთინსკი და რწმუნების ქაღალდიც გაეგზავნოს.

**თავმჯდომარე.** დიდად სასიხარულოა, რომ საბჭოს კრებაზე ამდენი ხალხი მოვიდა, მათ სიტყვის უფლებაც ექმნებათ, მაგრამ ვთხოვთ, დიდს დროს ნუ დაგვაკარგვინებენ. სასურველია, რომ თითოელი ორატორი გამომხატველი იყოს რომელისამე პარტიისა ან ჯგუფის აზრისა. განსახილველია განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება საქალაქო დებულების შეცვლის შესახებ და ამ საგნის გამო განცხადება ხმოს. ხუდადოვისა.

**ხმ. ხუდადოვი.** ჩემი განცხადება მარტივი და ადვილი გასაგებია. წინადადებას ვაძლევ ხმოსნებს, დაადგინონ, რომ საბჭოს ხმოსანთა კრება საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ კენჭის ყრით მოხდეს და ყველა ხმოსნებმა თანამდებობას თავი დაანებონ, რადგან მათ ზნეობრივი უფლება არა აქვთ მთელი ქალაქი განაგონ, მაშინ, როდესაც ქალაქის მცხოვრებთა მცირე ნაწილის მიერ არიან არჩეულნი.

**ხმ. ევანგულოვი.** ჩვენი გადადგომა ნაყოფს არ მოიტანს. ჩვენ რომ ძალიან კარგი კანონიც შევქმნათ და გადავდგეთ, ქალაქის საქმეებს ისევ ბიუროკრატია ჩაიგდებს ხელში. დავადგინოთ, რაც გვინდა, და ჩვენი მოთხოვნილება პეტერბურგში გავგზავნოთ.

**ხმ. ვლ. მიქელაძე.** ახლავ ვაცხადებ, რომ მე დიდი მომხრე ვარ საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ კენჭის ყრით არჩევნებისა ყოველს დაწესებულებაში და ყველგან ვეცდები ეს პრინციპი განვახორციელო. დავიწყოთ ხმ. ხუდადოვის განცხადებაზე. წინადადებას გვაძლევს, გავაუქმოთ ძველი კანონები და დაუყოვნებლივ სამსახურიდან გადავდგეთო. მე არ წარმომიდგენია არც ერთი დაწესებულება დედამიწის ზურგზე, რომელიც არსებობს და კანონებს არ ემორჩილებოდეს. როდესაც ხუდადოვი ძველს კანონებს გვარღვევინებს, არ გვაძლევს ახალს კანონს, რომლის ძალითაც შევიძლება მოქმედება...

**ხმ. ი. დოლუხანოვი.** ხმოსანის ხუდადოვის წინადადება არც ისე უტოპიურია, როგორც ზოგსა ჰგონია. მისგან წამოყენებული პრინციპი სამართლიანია. არ ვეთანხმები ხმ. ხუდადოვს, რომ სამსახურიდან გადავდგეთ.—განა ის გარემოება, რომ ჩვენ მცხოვრებთა უმცირესობის წარმომადგენელნი ვართ, ხელს გვიშლის ხალხთან დავიპიროთ საქმე? ჩვენ შეგვიძლიან ყველას აზრი გავიგოთ, ყველასთან კავშირი გვქონდეს და უმრავლესობის აზრის გამომხატველნი ვიყოთ.

**ხმ. ხუდადოვი.** მე დარწმუნებული ვარ, ხმოსნები ვერაფერს გავაკეთებთ. ჩვენი გადადგომა, ცოტა არ იყოს, დააჩქარებს ყველასაგან აღიარებულ პრინციპის განხორციელებას. ჩვენს შემდეგ, დაცლილ ადგილზე, სხვა მაინც გააკეთებს რასმე.

სიტყვის ნება მიეცათ გარეშეებს:

**ბ-ნი ხმალაძე.** ხმოსნებმა ხუდადოვის აზრი ვერ გაიგეს და ვერც გაიგებდნენ. ხუდადოვი უჩვენებს რევოლუციონურ გზას. ბ-ნი მიქელაძე ამბობს: მერე სად არის კანონი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთო. მე ვეტყვი: კანონი ხალხის სურვილია. ჩვენ კანონს კი არ უნდა ვუცქიროთ, არამედ ის გავაკეთოთ, რაც გვინდა. ამას კანონიც ზედ მოჰყვება.

**ბ-ნი მათვეევი.** 29 აგვისტოს შემდეგ ხმოსნებმა შეუგნებლად გაანებეს თავი თანამდებობას, რადგან ტყვიამ და მათრახებმა აიძულეს. დღეს ხუდადოვი წინადადებას აძლევს, რომ შეგნებულად, თავის ნებით დაანებონ თავი თანამდებობას. ბ-ნ მიქელაძეს ეს ძალიან უკვირს, მაგრამ აახილოს თვალი და გაიხსენოს გურიის მაგალითი. პეშმარიტებით აღძრული ხალხი კანონს კი არა ჰკითხავს, არამედ დაუკითხავად ეძიებს სიმართლეს.

ბ-ნი **ალექსეევი.** ხუდადოვის სიმპატიური პროექტი ხმოსნებს არ მოსწონთ. ეს ადვილი ასახსნელია: „მხოხავად დაბადებულნი ფრენას ვერ შესძლებენ". ბ-ნმა მიქელაძემ, როგორც ტიპიურმა ბურჟუამ, ხმამაღლა სთქვა: გაუმარჯოს საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ კენჭის ყრით არჩევნებს და ხმა-დაბლა დაუმატა: არა, ეს არ გვინდაო.

ორატორმა მოიყვანა მაგალითები, რომ ხალხი ჯერ კანონის დაუკითხავად გამოდის თავის აზრის განსახორციელებლად და შემდეგ მისი მოქმედება კანონიერად იქცევა ხოლმეო.

ილაპარაკა კიდევ ხუთმა გარეშე პირმა. ზოგიერთი ხმოსანი წავიდა, რადგან ამდენ ლაპარაკში საქმის განხილვას ვერ მოვესწრობითო.

ერთი ორატორი, მუშათა პარტიის წარმომადგენელი, 29 აგვისტოს სისხლის ღვრის ამბავს შეეხო.

**თავმჯდომარე.** ამ საგანს ნუღარ შეეხებით, მალე თქვენის თანადასწრებით მიტინგს გავმართავთ ამ საქმის დაწვრილებით გამოსარკვევად.

კრება ღამის პირველ საათზე დასრულდა.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა.** პროტოპოპოვის პიესა „ცხოვრების გარეშე" აზრიანი ნაწარმოებია, მხოლოდ, რაც შეეხება სამხატვრო იერს, შემოქმედობითი ნაწილი ამ მხრივ ძლიან მოიკოჭლებს. უმთავრეს იდეათ გატაცებულს, ავტორს,—რომ ბატონები სძაგრავენ, ადუხწორებენ მოსამსახურეს, ადამიანად არ მიაჩნიათ და ისე უყურებენ, როგორც უსულგულო საგანს და არა გრძნობა-გონებით მოსილ არსებათ,—ტენდენციურად აუგიაძია სურათები მსახურთა და ბატონთა დამოკიდებულებისა და ამის გამო პიესაში ბევრი რამ ნაძალადევი და არა ბუნებრივია. მოქმედნი პირნი ისე-კი არა ლაპარაკობენ, როგორც ილაპარაკებდნენ მზარეული ოსიპა, იაკობ ლაქია, მოსამსახურე გოგო ლუნია და სხვ., არამედ ისე, როგორცა სჯის და ზრუნვებს მათის მდგომარეობის შესახებ თვით ბ-ნი პროტოპოპოვი.

ჩვენი მსახიობები ამ პიესას კარგად თამაშობენ. მშვენიერნი არიან ბ-ნი შათირიშვილი—იაკობ ლაქიას როლში და ბ-ნი აბაშიძე—ოსიპ მზარეულისაში. დანარჩენებიც მათ ხელს უწყობენ. შენიშვნა რეჟისორს. სამზარეულო არც სამზარეულოს ჰგავს, არც სხვა ოთახს, ან ერთი უნდა, ან მეორე. სამზარეულოსთვის კედლები და კარები მდიდრულია და ისე ოთახისათვის კი „ზლატი" უადგილოა.

წარმოდგენას ხალხი სულ ცოტა დაესწრო. მაზეზი მრავალია. ჯერ ერთი—ხალხი დაშინებულია, დამით გარედ ვერა ჰბედავს გამოსვლას, თუმცა ქალაქში ახლა ისეთი მშვიდობიანობაა, რომ არავის არაფერი არ მოელის. მეორეც ისა, რომ პიესას ძველია, მრავალჯერ ნახული. ჩვენი საზოგადოება-კი არამც თუ ძველს პიესებს არ ეტანება, არამედ ახლებსაც გაურბის.

ი.

## დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

3 ნოემბერი.

**პეტერბურგი,** 2. კრონშტადტში უწესოება დაიწყო 26 ოქტომბერს ექვს საათზე. როდესაც დაატუსაღეს ის ორმოცი ჯარის კაცი, რომელთაც კოლექტიური თხოვნა მიართვეს, მატროსებმა მათი განთავისუფლება სცადეს, მაგრამ დარაჯებმა იგინი მოიგერიეს. მოგერიებულმა მატროსებმა ყაზარმებიდან გამოიხმეს თავისი ამხანაგები. ხოლო რამდენიმე ათასი შეიარაღებული მატროსი ქუჩაში გაჩნდა. მათ შეიმატნენ ქვეითა ჯარის კაცნიც და ყველა ერთად დაეცა გარნიზონს. ამავე დროს დაიწყო ძარცვა-გლეჯა, რადგანაც მეამბოხეებმა დაარბიეს სასმლების სახელმწიფო დუქნები და ძალზე დათვრნენ. 27 ოქტომბერს დარბევა ცოტათი შესწყდა, სამსახურის ერთგულმა საზღვაო და ხმელეთის კომანდებმა ქალაქს შემოუარეს, მოწანწალე მატროსები ყაზარმებში დაამწყვდიეს, მთვრალები აკრიფეს და ბევრიც დაატუსაღეს. შუადღისას ამბოხებამ დაცხრა. ამავე დროს ჯარები მოვიდნენ ორანიენბაუმსა და პეტერბურგიდან. 28 ოქტომბერს კრონშტადტში სამხედრო წესები გამოცხადდა და შეუდგნენ მეამბოხეთა იარაღის აყრას. სამხედრო და საზღვაო გამომძიებელნი გამოძიებას შეუდგნენ. აღრეულობის დროს დასწვეს სულ 5 სახლი, გაძარცვეს 75 ოფიცრის ბინა, მრავალი დუქანი და მაღაზია. 1 ნოემბრისათვის ყველა დამნაშავე დაპატიმრეს. შემოწმებულ ცნობებიდან სჩანს რომ 1 ნოემბრამდე იმ ჯარს, რომელსაც მეამბოხენი თავს დაეცნენ, მოუკლეს ერთი სალდათი, დაუჭრეს 1 ოფიცერი და 7 სალდათი, დაშავებულია 1 ოფიცერი. მეამბოხეთაგან მოკვდა საზღვაო უწყების 9 კაცი, ხმელეთის ჯარიდან 3 სალდათი, ჭრილობისაგან გარდაიცვალა—საზღვაო უწყების 6 სალდათი, ხმელეთის ჯარისა 2 სალდათი, დაჭრილია საზღვაო უწყების 43 სალდათი, ხმელეთის ჯარის—12. შემთხვევით დაიჭრა, ხმელეთის ჯარიდან—2, ცეცხლის მქრობ რაზმიდან—2, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 34 სალდათი. გამოძიება სწარმოებს. სასამართლო საქმის გარჩევას დამშვიდების გათავების შემდეგ შეუდგება.

**კიევი,** 2. ამის გამოსაძიებლად, თუ რა მონაწილეობა მიიღეს მთავრობის მოხელეებმა დარბევა დაწიოკებაში, აქ მოდის მოსკოვის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე არნოლდი.

**სარატოვი.** ქალაქში სდგება კონსტიტუციონალ-დემოკრატიული და უფლებრივ წესიერების დამცველი პარტია.

**ქუთაისი,** 2. ვაგზლის მახლობლად მოჰკლეს გაფიცვების წინააღმდეგი, თანაშემწე სადგურის უფროსისა, გუზნენკოვი. მკვლელი მიიმალა.

**ლონდონი,** 2. პეტერბურგში გაფიცვების განახლების შესახებ დეპეშებმა აქ მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს. უკიდურეს ლიბერალების მოთხოვნილებებს გადამეტებულად სთვლიან. მტრების გასახარებლად ასეთი უწესოებებს არ სპობენ და ამ მდგომარეობაში რეფორმების გატარება უთუოდ შეუძლებელიაო.

**პეტერბურგი,** 2. უმაღლესის ბრძანებით, ფინანსთა მინისტრის კანცელარიის დირექტორი პუტილოვი დაინიშნა ფინანსთა მინისტრის ამხანაგად. ვაჭრობის განყოფილების გამგე ფედოროვი—ვაჭრობის მინისტრის ამხანაგად. ტამბოვის გუბერნიაში უწესოების ჩასაქრობად გაგზავნილია გენერალ-ადიუტანტი სტრუკოვი. ხმები, ვითომ საზღვაო მინისტრი ბირილევი სამსახურს თავს ანებებდეს, ტყუილი გამოდგა.

გაიფიცა პეტერბურგის ქარხნების მომეტებული ნაწილი, მათ შორის გემების-აშენებელი და პუტილოვისა. გაიფიცა დაიწყო ვარშავისა და ბალტიის რკინის გზებზე. პეტერბურგში გაფიცულ მუშათა რიცხვი 32,000 კაცს აღემატება. გაიფიცნენ სტამბებიც. ხვალ გაზეთები არ გამოვა. ქალაქში სიწყნარეა. ლითონის მრეწველობის წარმომადგენელთა კრებამ უარჰყო 8 საათის სამუშაო დღე და შეადგინა მოწოდება, სადაც სთხოვენ მუშებს, უკანვე წაიღეთ თქვენი მოთხოვნილება, წინააღმდეგ შემთხვევაში პატრონები ქარხნებს დახურავენო.

**ოდესსა,** 2. გრადონაჩალნიკმა განკარგულება მოახდინა, გამოძიებულ იქმნას პოლიციის მოქმედება ოქტომბერს მომხდარ უწესოების დროს. ქალაქის გამგეობა სამსახურიდან გადადგომას აპირობს, რათა ამით საშუალება მისცეს საბჭოს, ახალი არჩევნები მოახდინოს, როგორც ეს შეეფერება დროსა და საზოგადოების მოთხოვნილებებს.

**პეტერბურგი,** 2. გაზეთი „რუს"-ი გადმოგვცემს ვაჭრობის ახალ მინისტრის ტიმირიაზევის ნალაპარაკევს. „ჩემს კაბინეტს—უთქვამს იმას—რუსეთის მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების მოვალეობა. ამ საკითხის გარდაწყვეტაში უნდა დაეხმაროს საზოგადოება და თვით მუშები. მაგრამ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს მუშათა მოძრაობას, დევიზად გაუხდია, ყველაფერი დაანგრიოს და რუსეთის კეთილ-დღეობას ძირი გამოუთხაროს. თავის ტაქტიკის გასავრცელებლად იმათ ვიწრო პარტიული მიზნები დაუყენებიათ, და უარს ამბობენ მშვიდობიან, ნაყოფიერ მუშაობაზე. ამ ჟამად 8 საათის სამუშაო დღის შემოღება ყველა ქარხნებისა და ფაბრიკების დახურვას მოასწავებს და მუშები გაღატაკებისა და შიმშილის გზას დაადგებიან. ამიტომ მუშებმა უნდა მოიცადონ თავისი უკიდურესი მოთხოვნილებებით. სანამ ხალხის წარმომადგენლები იქმნებიან მოკლებულნი ამ საკითხს სახელმწიფო საბჭო გარდასწყვეტსო.

**მოსკოვი,** 2. გრადონაჩალნიკი აცხადებს, რამდენიმე სასწავლებელში სწავლა უკვე დაიწყო, მას სხვებიც მალე მიჰყვებიან. მოწაფეთა მშობლებს დასამშვიდებლად ვაცხადებ, რომ განკარგულებას მოვახდენ და მოწაფენი უზრუნველ-ყოფილნი იქნებიან ყოველ გვარ შემთხვევისაგანაო.

**ყაზანი,** 2. კერძო სტამბების ასოთ ამწყობთა გაფიცვა ჯერაც არ შეწყვეტილა. პატრონები არ დასთანხმდნენ ასოთ-ამწყობთა მოთხოვნილებებზე. მეთქვსმეტე დღეა, რაც გაზეთები არ გამოდიან. რედაქტორებმა და ასოთ-ამწყობებმა გარდასწყვიტეს, დეპეშები დაბეჭდონ ხოლმე.

**კრონშტადტი,** 2. მოვიდნენ ჯავშნოსნები „სლავა" და „ალექსანდრე მეორე", კრეისერები „კორნილოვი" და „პამიატ აზოვა", რომლებიც ფინლიანდიის ნაპირებთან დაცურავდნენ.

**ვარშავა,** 2. რკინის გზების მოსამსახურეთა მიტინგმა დაადგინა, დროებით შეაჩეროს რკინის გზებზე გაფიცვა. გრაფი გლადისლავი ტიშკევიჩი, სტანისლავი ლიბიცკი და ედუარდ აინცენი პოლონიიდან განდევნეს.

**პლოცკი,** 2. დარბევისა და უწესოების მოლოდინი არ გამართლდა. ყველგან სიწყნარეა. სანოვაგე მეტად გაძვირდა. გაზეთი „ერი" ცენზურის ქვეშ გამოვიდა.

**ლიბავა,** 2. გუშინ პოლიციელი დღუგა სასტუმროში დათთოდა და ფულებს აროვებდა, წადით, ებრაელები ამოჟლიტეთო. ამ დროს შევიდნენ სასტუმროში უცნობი კაცები, კლუგას თავზე ტომარა ჩამოაცვეს და ეტლით ბეკკერის ქარხანაში წაიყვანეს, სადაც უცხად გაასამართლეს, სიკვდილით დასაჯა გარდაუწყვიტეს და განაჩენი იქვე სისრულეში მოიყვანეს. გამოძიება სწარმოებს.

**ვარშავა,** 2. ბანკირებისა და ვაჭრების კრებამ გარდასწყვიტა, ხვალვე გახსნას ყველა ბანკი და დუქნები.

**პეტერბურგი,** 2. ევროპის რუსეთის ჯარებიდან სამსახურიდან განთავისუფლეს 1891 და 1892 წლების ჯარის კაცნი. ამას გარდა ამ მოკლე ხანში განთავისუფლებენ 1893, 1894, 1895, 1896 წლების ჯარის კაცთაც. დანარჩენ წლების ჯარის კაცთ განთავისუფლებენ, როდესაც ჯარები შორეულ აღმოსავლეთიდან დაბრუნდებიან.

**ეკატერინბურგი,** 3. გუბერნატორის თანაშემწის აღმასრულებელმა სტრიჟევსკიმ განაცხადა, ქუჩის მანიფესტაციებს ჯარების მოსხმით გავფანტავო.

**მორშანსკი,** 3. მაზრაში დაიწყო მოძრაობა აგრარულ ნიადაგზე.

**შირბური,** 3. არსენალის მუშებმა დაადგინეს, მუშაობა დაიწყონ.

**კურსკი,** 3. კურსკის გუბერნატორი აცხადებს, ყოველი კრება განურჩევლად ნებადართული არ იქმნება, სანამ ქალაქში მშვიდობიანობა არ დამყარდებაო.

**ბერლინი,** 3. საზღვარგარეთული გაზეთები აცნობებენ, ის პოლიცია, რომელიც ვიტტემ დაიჭირა პოლონეთის ავტონომიის შესახებ, გერმანიის გავლენით აიხსნება და გერმანიის მთავრობა რუსეთის პოლონეთში ჯარის გაგზავნას აპირებსო.

**პეტერბურგი,** 3. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გრაფმა ვიტტემ ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სტამბების გაფიცულ მუშებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ძმებო, მუშებო, დაიწყეთ მუშაობა, უწესოებას თავი დაანებეთ, შეიბრალეთ ცოლ შვილი, ყურს ნუ უგდებთ ცუდ რჩევებს. ხელმწიფემ გვიბრძანა ჩვენ, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მუშათა საკითხს. ამის გულისთვის ხელმწიფემ დააარსა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, რომელმაც უნდა ჩამოაგდოს სამართლიანი დამოკიდებულება პატრონებსა და მუშებს შორის, მოგვეცით დრო; რაც შესაძლებელი იქმნება, ყველაფერს გაგაკეთებთ თქვენთვის, დაუჯერეთ რჩევა კაცსა, რომელიც კეთილ-განწყობილია და თქვენთვის სიკეთე სურს. გრაფი ვიტტე".

ვიტტემ მიიღო დეპუტაცია ნოვოროსსიის უნივერსიტეტისა—პროფესსორები ძანგა, ვერიგო და შპეჰკინი. ვერიგოს სიტყვით, ვიტტემ ოდესსის მდგომარეობას თანაგრძნობა გამოუცხადა და სენატორის რევიზია დანიშნა. გამოჰგზავნიან კუზმინსკის ან მეშჩანინოვს.

**ვარშავა,** 3 ნოემბერი. ვარშავა-ვენისა და ვისლისპირის გზებზე მიმოსვლას იწყებენ. ყველა მაღაზიები ღიაა. ტრამვაი და ტელეფონი ჯერ არ მუშაობენ. ნორმალური ცხოვრება იწყება.

**რიგა,** 2. პეტერბურგიდან ფოსტის მატარებლები არ მოსულა. ქარხნის მუშებში მღელვარება გრძელდება. გაფიცვები კვლავ დაიწყო. შესდგა რუსთა პოლიტიკური პარტია „საკონსტიტუციო"-ს სახელწოდებით.

**სარატოვი,** 3. ჩირიხინის ქარხანა გაიფიცა. გაზეთები სავსეა აგრარულ მოძრაობათა აღწერით მალი ნოვკაში ეგლესია წაბილწეს. მრევლსა და მძარცველთა შორის შეტაკება მოხდა. ბევრი მოკვდა. ერთი მამული ბრბომ მთვრალი ცეცხლში ჩააგდო.

**კურსკი,** 3. ნოვოოსკოლის მაზრაში აგრარული მოძრაობა დაიწყო. გაანადგურეს და აიკლეს მდიდარ მემამულეთა სახლ-კარი. აიკლეს აგრეთვე სახლ-კარი ნოვოოსკოლის მაზრის მარშლის კასტინის-როსტოვცევისა და მამულიც.

**ასხაბადი,** 2. მატარებლების მიმოსვლა დაიწყო. რკინის გზის მუშებს დაჰპირდნენ, თხოვნას აასრულებთო და დღეს მუშაობა დაიწყეს. ხვალ გიმნაზიაში სწავლას შეუდგებიან.

**კრემენჩუგი.** აქ არსდება პოლიტიკური კლუბი საზოგადოებრივი კავშირთა და პოლიტიკურ პარტიების დასაარსებლად.

**კიევი.** გაზეთ „კიევლიანინის" სიტყვით, ჩერნიგოვის და გოროდნიას მაზრებში უწესოებანი 23 ოქტომბერს დაიწყო. გამოჩნდნენ შეიარაღებული გლეხები, თავს ესხმოდნენ მემამულეთა სახლ-კარს, სწვამდნენ და არბევდნენ მათ. დარბეულ-განადგურებულ იქმნა ინგლისის ქვეშევრდომის მორტონის მდიდარი მამული, დასწვეს მისი სახლიც, რომლის მოწყობილებაც 200 ათასი მანათი ღირდა. დამწვარია 12 სხვა ეკონომიები. დამრბეველები 2000 კაცამდე იყო. როდესაც მშვიდობიანი მცხოვრებნი გონს მოვიდნენ, დამრბეველებს შეეტაკნენ. მძარცველთა შორის ბევრი მოკლული და დაჭრილია.

**სუჯა,** 3. გლეხებმა, რიცხვით 813 კომლმა, საერობო გამგეობას წარუდგინეს განაჩენები, რომლებიც გამგეობამ უნდა გადასცეს სახელმწიფო საბჭოში არჩეულთ. გლეხები თხოულობენ: დანარჩენ წოდებებთან უფლებებით გათანასწორებას, შემოსავლის დაგვარად გადასახადების განაწილებას, საერობო უფროსებისა და ვოლოსტის სასამართლოების გაუქმებას და სხვა.

**მოსკოვი,** 3. გენერალ-გუბერნატორმა განუცხადა მოსკოვის მცხოვრებთ, კაზაკებს ვერ გავგზავნი მოსკოვიდან, სანამ ქალაქში წესიერება და მშვიდობიანობა არ დამყარდებაო.

**უმანი,** 3. აგრარულ ნიადაგზე მოძრაობა თანდათან მწვავდება.

**მოსკოვი,** 3. რკინის გზაზე მოსამსახურეებმა წინადადება მიიღეს პეტერბურგიდან, თქვენც გაიფიცეთო. მომეტებული ნაწილი იმ აზრისაა, რომ პოლონეთში სამხედრო წესების შემოღების გამო, გაფიცვა არ უნდა მოხდეს.

**სტარი სოკოლი,** 3. სამ მემამულის სახლ-კარი გლეხებმა გაანადგურეს, ოთხთვლი საქონელი ამოხოცეს, ცხენები წაიყვანეს, შენობები გადაწვეს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

(ადგილობრივის საათით).

### ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს:** 1) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 58 წ.; 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. და 46 წ.; 3) საქონ.-სამგზავრო № 18 დილის 11 ს. და 38 წ.; 4) სწრაფი № 20 მოსკოვამდის (მარტო სამშაბათობით) საღამოს 6 ს. და 33 წ.;

**ბათუმს:** 1) სამგზავრო № 7 საღამოს 10 ს. და 54 წ.; 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 53 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. და 5 წ.;

**ერევანს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. და 10 წ.; 2) საქონ. სამგზავრო № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. და 11 წ..

### ტფილისში ჩამოდის:

**ბათუმიდან:** 1) სამგზავრო № 8 ნაშუადღევის 1 ს. 29 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 9 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. და 42 წ.;

**ბაქოდან:** 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მხოლოდ პარასკევობით) ნაშუადღევის 2 ს. და 28 წ.; 2) საფოსტო № 3 შუადღ. 12 ს. და 8 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. და 29 წ.; 4) საქონ. სამგზავრო № 17 ღამის 10 ს. და 28 წ.;

**ბათუმიდან გამოდის:** 1) სამგზავრო № 8 ღამის 12 ს. და 30 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 6 ს. და 13 წ.; 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. და 22 წ.;

**ქობულეთისკენ:** დილის 10 ს. 28 წ.

**ნატანებისკენ:** ნაშუადღევის 2 ს. და 58 წ.

### ბათუმში ჩადის:

**ტფილის-ბაქოდან:** 1) სამგზავრო № 7 დღის 11 ს. და 31 წ.; 2) საფოსტო № 3 ღამის 1 ს. და 12 წ.; 3) სამგზავრო № 5 საღამოს 8 ს. და 5 წ.

### ბაქოდან გამოდის:

**ტფილის ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მარტო ხუთშაბათობით) ღამის 1 ს. და 18 წ.; 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. და 51 წ.; 3) სამგზავრო № 5 შუადღის 12 ს. და 1 წ.; 4) საქონ.-სამგზ. დილის 5 ს. და 1 წ.

### ბაქოში ჩადის:

**ტფილის-ბათუმიდან:** 1) საფოსტო № 6 ნაშუადღევის 2 ს. და 18 წ.; 2) სამგზავრო № 6 ღამის 1 ს. და 40 წ.; 3) საქონ.-სამგზ. (ტფილისიდან) № 18 ნაშუადღევის 4 ს. და 53 წ.

### მიხაილოვიდან გადის:

**ბორჯომისკენ:** სამგზავრო. 1) დილის 4 ს. და 3 წ.; 2) დილის 11 ს. და 28 წ.; 3) საღამოს 5 ს. და 23 წ.

**სურამისკენ:** საქონ.-სამგზ. 1) ღამის 3 ს. და 8 წ.; 2) დილის 4 ს. და 8 წ.; 3) დილის 9 ს. და 43 წ.; 4) დილის 11 ს. და 33 წ.; 5) ნაშუადღევის 3 ს. და 38 წ.; 6) საღამოს 5 ს. და 28 წ.

### ბორჯომიდან გამოდის.

**მიხაილოვისკენ:** სამგზავრო: 1) ღამის 11 და 42 წ.; 2) დილის 8 ს. 12 წ.; 3) ნაშუადღევის 2 ს. და 3 წ.

**ბაკურიანისკენ**—(ბორჯომის ბაღიდან): სამგზავრო დილის 10 ს. 20 წ.

### ბაკურიანიდან გამოდის.

**ბორჯომისკენ:** სამგზავრო ნაშუადღევის 4 ს. და 18 წ.

### სურამიდან გამოდის.

**მიხაილოვისკენ:** საქონ.-სამგზავრო: 1) ღამის 2 ს. და 31 წ.; 2) ღამის 3 ს. და 28 წ.; 3) დილის 9 ს. და 1 წ.; 4) დილის 10 ს. და 41 წ.; 5) ნაშუადღევის 2 ს. და 51 წ.; 6) ნაშუადღევის 4 ს. და 36 წ.

### რიონიდან გადის:

**ქუთაისისკენ:** სამგზავრო: 1) დილის 5 ს. და 13 წ.; 2) დილის 7 ს. 18 წ.; 3) დილის 11 ს. 03.; 4) ნაშუადღევის 3 ს. 38 წ.; 5) საღამოს 9 ს. 48 წ.; 6) ღამის 11 ს. 13 წ.

### ქუთაისიდან გამოდის.

**რიონისკენ.** სამგზავრო: 1) დილის 4 ს. 33 წ.; 2) დილის 6 ს. 33 წ.; 3) დილის 10 ს. 13 წ.; 4) ნაშუადღევის 2 ს. 53 წ.; 5) საღამოს 8 ს. 58 წ.; 6) ღამის 10 ს. 18 წ.

**ტყიბულისკენ:** საქ.-სამგზ. ნაშუადღევის 4 ს. 28 წ.

### შორაპნიდან გადის.

**საჩხერისკენ:** სამგზავრო: 1) დილის 6 ს. 56 წ.; 2) ნაშუადღევის 2 ს. 13 წ.

### საჩხერიდან გამოდის:

**შორაპნისკენ:** სამგზავრო. 1) დილის 8 ს. 52 წ.; 2) ნაშუადღევის 4 ს. 46 წ.

### ფოთიდან გამოდის:

**სამტრედიისკენ:** სამგზავრო: 1) ნაშუადღევის 2 ს. 11 წ.; 2) დილის 7 ს. 11 წ.; 3) საღამოს 7 ს. 22 წ.

**ქუთაისისკენ:** დილის 5 ს. 44 წ.

### სამტრედიიდან გადის:

**ფოთისკენ:** სამგზავრო: 1) დილის 9 ს. 58 წ.; 2) ღამის 10 ს. 53 წ.; 3) საღამოს 4 ს. 58 წ.

## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 5 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, ციტოხცევის მამულში, რომელიც ქალაქს იჯარითა აქვს აღებული და ს. ოლგინსკაიას მახლობლადაა, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა 75 ძირის თივისა. თივის გასინჯვა შეიძლება ადგილობრივ, ყოველ დღე. თივა გაიყიდება წონით და იმ სასწორით, რომელიც ამ მამულში იმყოფება. ვაჭრებისათვის საჭიროა კანონიერი ბე.

(1—1)

მასწავლებელთა საყურადღებოდ.

დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი

არითმეტიკული კრებული

პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი.

ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მ.ნათზე აბაზი დაეთმობა.

საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა", ქაშვეთის ქ., სახლი არჯევანიძისა.

მისამართი: Книжный магазинъ „Цодна".

(20—7)

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5